The remaining larger group of mentally ill defendants ineligible for diversion from prosecution through a mental health court or an alternative structured program has been the focal point of this article. Trial court judges must be keenly aware of the Florida Statutes, Florida Rules of Criminal Procedure and Florida Appellate decisions relevant to issues of mental health, competency and placement. Equally compelling is the necessity that trial courts must recognize those defendants seeking to fraudulently and intentionally abuse the established competency procedure by feigning and malingering a nonexistent mental illness or exaggerating the extent of an existing mental illness when they are otherwise competent to proceed, in order to avoid having to stand in front of the alter of justice.

The entire process of identifying whether a defendant is mentally ill, determining whether

Mark Speiser

due to the mental illness the defendant is incompetent, undertaking steps necessary to restore the defendant to competency in the community or at a forensic hospital, and conducting a hearing or entering an order on a stipulated factually based agreement if appropriate, that the defendant has been restored to competency must be correctly complied with to assure defendants that their constitutional rights are adhered to and not compromised. Trial courts are charged with this very meaningful and immense responsibility. Their failure to effectuate their legal responsibilities would be construed as an abdication of their official duties as the arbiter of the law.

FOOTNOTES:

1. Massaro, J. (2004) "Working with people with mental illness involved in the criminal justice system: what mental health service providers need to know" (2nd Ed.), Delmar, N.Y.; technical assistance and policy center for jail diversions, p.3
2. 916.106(1),(15); 393.063(32)
3. 916.106(7). DCF is only responsible for handling defendants incompetent to proceed due to mental illness who are committed to DCF by a Circuit Court Judge pursuant to section 916.13(13) either because they are a danger to themselves or others or at risk of self-neglect. A forensic commitment to DCF also requires the trial judge to determine that all available less restrictive community treatment alternatives are unsuitable and that there is a substantial probability that the defendant will regain competency while at the forensic hospital in the reasonably foreseeable future. DCF is also responsible for treating pursuant to Section 916.15(2) any felony defendants found not guilty by reason of insanity who are unsuitable for treatment in the community due to their dangerousness or self-neglect issues. The number of not guilty by reason of insanity cases pale by comparison to the number of cases where defendants assert they are incompetent to proceed due to mental illness and therefore were not the subject of this article. Unlike defendants committed to DCF who are incompetent due to mental illness, defendants who are found not guilty by reason of insanity and committed to DCF can be held at the forensic hospital potentially forever or until a judge determines they would no longer pose a danger to the community if they were released back into society. In contrast incompetent defendants who are committed to DCF due to mental illness are entitled to be released and have their charges dismissed without prejudice after three (3) or five (5) years depending upon whether their crime is violent or nonviolent.
4. 916.106(11)
5. A prominent concern in the criminal justice system is a trend especially, among incarcerated inmates to feign symptoms or exaggerate the extent of their mental illness hoping that by doing so, they will be judicially determined to be incompetent, and thereby avoid trial and possibly be released into the community on a conditional release plan when they otherwise might not be released from custody. This "malingering syndrome" diagnosed by experienced evaluators more frequently occurs in evaluations of defendants charged with violent crimes and offenders who are habitual offenders facing significant periods of incarceration if deemed competent and subsequently convicted.

6. 916.17 and Rule 3.212(d). Florida Rules of Criminal Procedure
7. Simply stated, the higher quality of skilled and resourceful personnel staffing forensic hospitals, the lower ratio of treatment professionals to committed incompetent defendants, and the greater certainty that these defendants are actually taking their prescribed psychotropic medication while a hospital resident are the factors contributing to this result.
8. Rule 3.210(a)(1),b(2) Florida Rules of Criminal Procedure; see *Rodriguez V. State*, 112 So. 3d 618 (3rd DCA, 2013):
Court has affirmative duty, independent of counsel, to patrol for and identify any signs of a defendant's potential incompetency. Failure to act accordingly or hold a competency hearing will result in a reversal in any subsequent guilty plea or conviction. See also: *Bracero V. State*, 10 So. 3d 666 (2nd DCA, 2009)
9. Rule 3.210(b)(1)(2), Florida Rules of Criminal Procedure
10. 916.115(1)(a),(b)
11. Rule 3.210(b), Florida Rules of Criminal Procedure; *Lee V. State*, 145 So. 3d 953 (5th DCA, 2014)
12. 916.115(1); *Tita V. State*, 42 So. 3d 838 (4th DCA, 2010), *Ross V. State*, 386 So. 2d 1191(FLA.1980)
13. *Sanfeliz V. State*, 58 So. 3d 960 (5th DCA, 2011) However, state has no right to be present at a confidential evaluation conducted by expert retained by defense counsel
14. *State V. Rogers*, 955 So. 2d 1213 (4th DCA, 2007)
15. *State V. Zapetis* 629 So. 2d 861 (4th DCA, 1993)
16. *Aviles Rosario V. State*, 152 So. 3d 851 (4th DCA, 2014)
17. *Dusky V. United States*, 362 U.S. 402 (1960); 916.12(3); Rule 3.211(2) Florida Rules of Criminal Procedures
18. *Washington V. State*, 162 So. 3d 284 (4th DCA, 2015)
19. 916.12(4)(d);Rule 3.211(b)(4). As previously indicated there must be a strong likelihood that defendant is restorable to competency before a court can commit defendant to a forensic hospital. An evaluator's opinion that defendant "might" be restored fails to satisfy the statutory requirement. *Horton v. Judd*, 80 So. 3d 439 (2nd DCA, 2012), *DCF v. State and C.Z.*, 40 FLA.L Weekly D2105, (3rd DCA, 2015)
20. Rule 3.211(d)(1)(2) Florida Rules of Criminal Procedure; *Caraballo V. State*, 39 So. 3d 1234 (FLA. 2010)
21. Rule 3.212(a) Florida Rules of Criminal Procedure
Once an incompetency order is entered, no trial or violation of probation hearing can be conducted until and unless defendant is restored to competency. Rule 3.210(a) Florida Rules of Criminal Procedure. Furthermore a defendant's constitutional and statutory right to a speedy trial is tolled once a defendant is adjudicated incompetent.
22. *Muhammad V. State*, 494 So. 2d 969, 973 (FLA.1966); *Sampson V. State*, 83 So. 3d 209 (2nd DCA, 2011)
23. 916.13(1)
24. Rule 3.212(b), Florida Rules of Criminal Procedure;
Mason V. State 71 So. 3d 229 (1st DCA, 2011)
Ortiz V. State, 55 So. 3d 724 (5th DCA, 2011)
Childs V. State, 44 So. 3d 216 (2nd DCA, 2010)
Blackmon V. State, 23 So. 3d 1239 (4th DCA, 2009)
Flowers V. State, 143 So. 3d 459 (1st DCA, 2014)
Carroll V. State, 157 So. 3d 385 (2nd DCA, 2015)
Ross V. State, 155 So. 3d 1259 (1st DCA, 2015)

25. Macaluso V. State 12 So. 3d 914 (4th DCA, 2009)
26. Williams V. State, 169 So.3d 221 (2nd DCA, 2015)
Hunter V. State, 174 So. 3d 1011 (1st DCA, 2015)
Belizaire V. State 188 So. 3D 933 (1st DCA, 2016)
Lewis V. State, 190 So. 3d 208 (1st DCA, 2016)
Zern V. State, 191 So. 3d 962 (1st DCA, 2016)
Blaxton V. State, 188 So. 3d 48 (1st DCA, 2016)
Shakes V. State, 185 So. 3d 679 (1st DCA, 2016)
Presley V. State, No. 4D15-683, 2016 WL 3534068, at *1(4th DCA, June 29, 2016)
Bylock V. State, 196 So. 3d 513 (2nd DCA, 2016)
27. 79 So. 3d 199 (5th DCA, 2012)
28. 80 So. 3d 439 (2nd DCA, 2012); See also A.E. V. State, 83 So. 3d 1000 (3rd DCA, 2012) decided on identical fact pattern where court reached same result
29. 837 So. 2d 554 (4th DCA, 2003)
30. 82 So. 3d 1121 (2nd DCA, 2012); See also DCF v. Davis and State, 114 So. 3d 983 (5th DCA, 2012) In the Davis case DCF successfully challenged a forensic commitment order since none of the court evaluators' reports indicated defendant had a mental illness nor any psychosis, but merely a diagnosis of "age-immaturity" and "information deficits". These are antisocial issues, not mental health issues. The definition of mental illness contained in 916.106(13) specifically excludes these type of disabilities.
31. If a defendant is incompetent due to an intellectual disability, Section 916.303(1) and Rule 3.213(a)(2) of the Florida Rules of Criminal Procedure allow the dismissal of a pending felony charge without prejudice by the trial judge within a reasonable time after determination of incompetency, but not to exceed a period of two years from the date the incompetency order was entered. A defendant incompetent due to intellectual disability is entitled to a dismissal merely by the filing of a motion and entry of an order by the court. To dismiss a charge pending against an incompetent mentally ill defendant a motion and a hearing before the court is required.
32. Downing v. State, 617 So. 2d 864 (1st DCA, 1993)
Clark V. State, 455 So. 2d 1112 (3rd DCA, 1984)

დანაშაულის ცნების გერმანული და გენევისური მოდელების შედარებითი ანალიზი

გურამ ნაჭყებია

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ემერიტუს-პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ფილოსოფიური და იურიდიული აკადემიების აკადემიკოსი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

საკვანძო სიტყვები: ქმედება, მართლსაწინააღმდეგო, ინდუქცია

შენიშვნა 1. სტატიის ძირითადი იდეა მოხსენდა ხსენებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულებასთან არსებულ მეთოდოლოგიურ სემინარს, რომლის სხდომას ესწრებოდნენ საქართველოში მოღვაწე როგორც ცნობილი, ისე ახალგაზრდა მეცნიერები.

შენიშვნა 2. სტატიაში გამოთქმულ იდეებზე ლაპარაკია ჩემს სხვა, უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც, მაგრამ, ჯერ ერთი, სტატიაში დასმული პრობლემა უაღრესად აქტუალურია და ამიტომ მას უფრო კონკრეტული ანალიზი სჭირდება. მეორეც, როგორც დავინახავთ, ამ მხრივ პრობლემების წარმოქმნას ხელს უწყობს მეთოდოლოგიურ-ფილოსოფიური მიდგომების უგულებელყოფა, რის გამოც რიგი გაუგებრობა დღემდე გრძელდება.

შენიშვნა 3. სტატიაში ზოგიერთი ჩემი კოლეგის მოსაზრება კრიტიკულადაა მოხსენებული, მაგრამ მათდამი ღრმა პატივისცემისა და მეცნიერული დისკუსიის ეთიკური ნორმების სრული დაცვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის 1-ელ ნაწილში გადმოცემულია დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი, რომლის თანახმად, უკვე ჩადენილი ქმედება დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის დადგენის ლოგიკური თანმიმდევრობით.

დანაშაულის ცნების გერმანული მოდელის ნეოკანტიანური გაგება საფუძვლიანად გააკრიტიკა პროფესორმა გიორგი თოდრიამ,¹ ხოლო ჩვენ დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შევფასეთ და მივედით დასკვნამდე, რომ იგი აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ინტერესებს, მაგრამ ვერ პასუხობს ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციისადმი წარდგენილ მოთხოვნებს.² საქმე ის გახლავთ, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის პრაქტიკული განხორციელება მართლზომიერია, თუ ამ შემადგენლობის განხორციელების დროს არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი თუნდაც ერთი რომელიმე გარემოება. და მაშინ საქმე ეხება ე. წ. გამამართლებელ გარემოებას.³ აქედან გამომდინარე, თითქოს ლოგიკურია თითქმის გაბატონებული მტკიცება, რომლის თანახმად, თუ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების დროს არ არსებობდა ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება, მაშინ ეს შემადგენლობა განხორციელებულია მართლწინააღმდეგოდ.⁴ ამგვარ დასკვნას აკეთებს პროფ. ო. გამყრელიძე.⁵

- 1 გ. ნაჭყებიას საიუბილეო კრებული, 2016. თბილისი.
- 2 ნაჭყებია გ., 2015. პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. თბილისი, გვ. 222-234.
- 3 უფრო ვრცლად იხ. პროფ. ტურავა მ., 2011. დანაშაულის მოძღვრება. თბილისი, გვ. 326.
- 4 ტურავა მ., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, გვ. 164.
- 5 სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 3. 2013.

უცნაურიც კია, თუ რატომ არაა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება მართლწინააღმდეგოდ, თუ ამ შემადგენლობის განხორციელების დროს არ არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება? ეტყობა, საქმის ვითარება ასე მარტივად არაა. ამდენად, ჩვენი კოლეგებისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ეს გაბატონებული თუ არა, გაგრძელებული მოსაზრება, ვფიქრობთ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გადასინჯვას მოითხოვს.

საქმე ის გახლავთ, რომ ქმედების შემადგენლობა, მისი ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ბუნებით, არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობა, პირიქით, შეფასებით (ღირებულებით) მსჯელობას წარმოადგენს.⁶

ფილოსოფიის ანბანური ქეშმარიტებაა ის დებულება, რომ ფაქტიდან ნორმაზე, აღწერილობიდან შეფასებაზე (ფილოსოფიურად რომ ვთქვათ – არსიდან ჯერარსზე) – პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს და ამიტომ ეს გადასვლა შეიძლება იყოს მხოლოდ ინდუქციური (სავარაუდო). მართლაც, ინდუქციის მიზანია ცნობილიდან (ჩვენს შემთხვევაში – ქმედების შემადგენლობიდან – გ.წ.) უცნობზე (ჩვენს შემთხვევაში – ქმედების მართლწინააღმდეგობაზე – გ.წ.) გადასვლა, რის შედეგადაც ყალიბდება ზოგადუსასრულო, აუცილებელი მსჯელობა. ეს კი შესაძლებელია ზოგადი ვარაუდების საფუძველზე.⁷ უფრო მეტიც, სამართლის ნორმაშეფარდების პრობლემატიკა აწყდება კერძოდან (ქმედების უკვე განხორციელებული კონკრეტული შემადგენლობიდან ზოგად ნორმაზე (ესე იგი კერძოდან ზოგადზე) გადასვლის პრობლემასაც, რადგან ამ მიმართებით იქმნება ახალი ინდუქცია. პროფ. ს. წერეთელი წერდა, რომ კერძოს ზოგადში

თბილისი, გვ. 169–170.

- 6 Ткешелиадзе Г. Т., 1975. Судебная практика и уголовный закон. Тбилиси, стр. 51-54.
- 7 ჯიბუტი გ., 1975. ინდუქციური დასკვნის ბუნებისათვის, თბილისი, გვ. 121.

გადასვლის ალბათობა ინდუქციურია.⁸

ამრიგად, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობიდან მის მართლწინააღმდეგობაზე გადასვლას ორი სახის ინდუქცია სჭირდება: 1. ფაქტიდან შეფასებაზე და 2. კონკრეტული საკანონმდებლო შემადგენლობიდან, როგორც კერძოდან, მის ზოგადსამართლებრივ შეფასებაზე გადასვლისა. მაგრამ ამჯერად აქცენტს ინდუქციის პირველ სახეზე ვაკეთებთ—ქმედების შემადგენლობიდან, როგორც ფაქტიდან, მის მართლწინააღმდეგობაზე გადასვლის პრობლემატიკის მიხედვით.

ვაზუსტებთ: ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ნიშნებს შორის გვხვდება შეფასებითი ნიშნებიც (მაგალითად, „არსებითი“ თუ „მნიშვნელოვანი“ ზიანი). ამის მიუხედავად, ქმედების ეს შემადგენლობა, საბოლოოდ მაინც, არაა შეფასებითი. ამიტომ ამ შემადგენლობიდან, როგორც ფაქტიდან, მის მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური დასკვნა, (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობისას), სწორი არ იქნება, რადგან ამ პოზიციიდან პოზიტიურად მტკიცდება, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, თუ მათემატიკურად ვიმსჯელებთ, მაშინ აშკარაა, რომ ქმედების შემადგენლობა უდრის მის მართლწინააღმდეგობას. ამ პოზიციიდან კი, როგორც ჩანს, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არ არსებობს. მაშასადამე, ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არსებობს და მაშინ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება მის მართლწინააღმდეგობას ჯერ კიდევ არ უდრის. აქედან ერთადერთი გამოსავალი არსებობს: თუ განხორციელებულია ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა და ამავე დროს არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი

რომელიმე გარემოება, მაშინ ქმედების მართლწინააღმდეგობა გამომრიცხველი არაა, მაგრამ დასკვნა ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ ინდუქციურია (სავარაუდოა).

ამრიგად, ირკვევა, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში გამომრიცხველია მხოლოდ ქმედების მართლწინააღმდეგობა და არა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა. თვალსაზრისი, რომელიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში გამომრიცხავს ქმედების შემადგენლობასაც, როგორც ცნობილია, შემადგენლობის ე. წ. „ნეგატიური ნიშნების“ თეორიად იწოდება. ეს თეორია, იმის გამო, რომ იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასაც გამომრიცხავს, იძულებულია, დანაშაულის სამკვალის სისტემის ნაცვლად მისი ორკვალის სისტემა ააგოს (ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი). მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გარეშე არც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხვის საკითხი არ დადგება? გარდა ამისა, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის გამომრიცხვა ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამართალში მხოლოდ ორი სახის ქმედება – მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო – არსებობს და მესამე გამორცხულია. სამწუხაროდ, ამ დასკვნამდე მივყავართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 თავს, რომელშიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების გადმოცემა იწყება ნეგატიური წესით: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც „და შემდეგ, როგორც ტექსტშია. ისე ჩანს, ვინც არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თითქოს მოქმედებს მართლზომიერად, მაშინ, როდესაც ის, ვინც არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, შეიძლება არც

8 წერეთელი ს.,1965. დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, გვ. 632.

მართლზომიერად მოქმედებდეს. ასეთია სწორედ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, რომელიც არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო და ამიტომ არის „მესამე“, როგორც ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის კავშირის ფორმა.

ამრიგად, ვიმეორებთ: მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობისას ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობიდან დასკვნა მის მართლწინააღმდეგობაზე ატარებს ინდუქციურ, სავარაუდო ხასიათს. ქმედების მართლწინააღმდეგობის სავარაუდო ხასიათი ბრალის სავარაუდო ხასიათზეც მიუთითებს, რადგან ბრალის ფორმებიდან ბრალზე დასკვნაც ინდუქციურია (სავარაუდოა). ამ პოზიციიდან ადვილი მისახვედრია, რომ საქმე ეხება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სფეროს, როცა ბრლდებული, თვისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, ჯერ კიდევ არაბრალეულია. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.“

თუ გავიზიარებთ თითქმის გაბატონებულ ტენდენციას, რომლის თანახმად, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ, თუ ამ შემადგენლობის განხორციელების დროს არ არსებობდა ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ ჩვენ ლოგიკურად გადავდივართ ქმედების მართლწინააღმდეგობის პოზიტიურ მტკიცებაზე. ეს პოზიცია კი, თავის მხრივ, ბრალის პოზიტიურ მტკიცებასაც მოითხოვს. ამ გზით ჩვენ ქმე-

დების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის სფეროში გადავდივართ. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დაედოს ვარაუდი.“ მაშასადამე, ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის მიმართების ტრადიციული გაგება ლოგიკურად გადადის ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის სფეროში და სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სფერო უგულებელყოფილი გამოდის.

სამწუხაროდ, თუ ვერწმუნებით მტკიცებას, რომ სისხლის სამართლის სფეროში არ არსებობს სამართლებრივად ნეიტრალური ქმედება, რაკი ქმედება აკრძალულია, მაშასადამე, მისი ჩადენა მართლსაწინააღმდეგოა,⁹ – მაშინ ქმედების შემადგენლობა არ არსებობს, რადგან იგი სწორედაც რომ სამართლებრივად ნეიტრალურია, ესე იგი, შეფასებითი კატეგორია არ არის. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ სამართალში მხოლოდ ორი სახის ქმედება არსებობს – მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო და მესამე გამორიცხულია.¹⁰ სამართალში ორი დაპირისპირებული ქმედება – მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო – მართლაც არსებობს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომამ შეფასებითი კატეგორიების კავშირის ფორმას ქმედების შემადგენლობა წარმოადგენს და იგი გამორიცხული კი არაა, არამედ რეალურად არსებობს და დადგენას მოითხოვს. ამ დებულების უფრო ღრმა დასაბუთებისათვის აქ მოკლედ მაინც აღვნიშნავთ: გავრცელებული ტერმინი „დანაშაულის ჩადენა“ იმდენად ზედაპირულია, რომ იგი საკმაოდ დიდ პირობითობას მოიცავს. მაგალითად, მკვლელობა კონკრეტული დანაშაულია და განიმარტება, როგორც სხვა ადამიანის

9 Baumann (Wtber) Mitsch, Srafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 1995, s. 281- 282.

10 Roxin C. 2006. Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1. Munchen, s. 197.

სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი მოსპობა. ესაა მკვლელობის ცნება. მკვლელობის, როგორც დანაშაულის, ჩადენა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-114-ე მუხლები, ესე იგი, მკვლელობის საკანონმდებლო შემადგენლობანი, – ზედმეტად უნდა მიგვეჩინო. მაშასადამე, პრაქტიკულად დანაშაულის არც ზოგადი ცნება ხორციელდება და არც კონკრეტული დანაშაულის ცნება. ცნება, როგორც აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა, გარესინამდვილისადმი ადამიანის თეორიულ, შემეცნებით დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივ პრაქტიკაში ხდება. რამდენადაც გარესინამდვილისადმი ადამიანის თეორიული, შემეცნებითი დამოკიდებულება მის პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებაზე არ დაიყვანება, დანაშაულის, როგორც ასეთის, პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია. ამიტომაც, რომ კანონმდებელი ქმნის ამა თუ იმ დანაშაულის შესატყვის შემადგენლობას, რომლის პრაქტიკული განხორციელების გარეშე დანაშაულის ჩადენაზე ლაპარაკი არამეცნიერულია.¹¹ აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ესა თუ ის დანაშაული პრაქტიკულად ხორციელდება მისი საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების შესაბამისად. სხვა საკითხია, თუ არსებობდა მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი.

ამრიგად, რამდენადაც ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან მის მართლწინააღმდეგობაზე დასკვნა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობისას ინდუქციურია, სავარაუდოა, – ამდენად, **დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ინტერესებს, მაგრამ ვერ პასუხობს**

ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციისადმი წარდგენილ მოთხოვნებს.

ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის მოთხოვნებს პასუხობს დანაშაულის ცნების **გენეზისური მოდელი**, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე აიგება. ყალბია დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის რუსული იდეა, რადგან დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი, პირიქით, გაჰყავს სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ,¹² ხოლო მართლზომიერი ქმედების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის უგულებელყოფა, როგორც ეს ხდება, მაგალითად, სისხლის სამართლის გერმანულ დოგმატიკაში, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. არც ისაა შემთხვევითი, რომ დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობასთან არავითარ კავშირში არაა. სისხლის სამართლის კოდექსის პრევენციული ფუნქცია დავას არ იწვევს, მაგრამ ის საკმარისი არაა. მართლაც, თუ სასამართლოს (მოსამართლეს) განაჩენი სახელმწიფოს სახელით გამოაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩადენისთვის სუბიექტი ნეგატიურადაა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ „პასუხისმგებლობა, ფილოსოფიური გაგებით, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიურია. აქედან გამომდინარეობს, რომ პიროვნება მოწოდებულია, მოვალეობას მოეკიდოს პასუხისმგებლურად, ესე იგი, **ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით, რაც ნებისმიერი ნორმალური ფსიქიკის მქონე პიროვნების ღირსების საქმეა.** აქ, როგორც ჩანს, საქმე ეხება მართლზომიერი ქმედების ჩადენას, რომელსაც სამართლის ნორმის

11 უფრო ვრცლად იხ. ნაჭყეია გ., 2000. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი. თბილისი, გვ. 73–85.

12 ნაჭყეია გ., 1997. სისხლის სამართლის საგანი. თბილისი.

მოთხოვნა მართლწესრიგში გადააქვს. ამით კი დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანი ხორციელდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“. ეს მიზანი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა მართლზომიერი ქმედებით ხორციელდება. მართლაც, სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის მომენტიდან საზოგადოების ყველა შერაცხუნარიანი წევრი ვალდებულია, მოქმედებდეს მართლზომიერად და მოწოდებულია, ამ ვალდებულებას მოეკიდოს უპასუხისმგებლურად, ესე იგი, ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით და ქმნიდეს მართლწესრიგს. საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. „საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის მეორე პუნქტში კი ნათქვამია შემდეგი: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.“ აშკარაა, რომ ამ პუნქტში გამოხატულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა საფუძველი. მაგალითად, აუცილებელი მოგერიება ნებისმიერი ადამიანის უფლებათა, მაგრამ მომგერიებელი მოწოდებულია, ამ უფლების განხორციელებას მოეკიდოს უპასუხისმგებლურად, რათა არ დაარღვიოს აუცილებელი მოგერიების ფარგლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ნეგატიურადაა უპასუხისმგებელი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის (საქ. სსკ-ის 113-ე მუხლი).

სისხლის სამართლის სუბიექტის, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატის, ვალდებულება, მოქმედებდეს მართლზომიერად, სახელმწი-

ფოსთან სუბიექტის ნორმატიული (ობიექტური) კავშირის ნიშანია, ხოლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულების აღსრულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლური დამოკიდებულება სახელმწიფოსთან სუბიექტის სუბიექტურ კავშირს გამოხატავს. აქედან გამომდინარეობს, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევა ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია, ხოლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სუბიექტის ბრალს სინონიმი.

დანაშაულის ჩადენა იწყება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო ანუ ბრალეული დამოკიდებულებიდან, რომელიც, თავის მხრივ, არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას. ეს კი ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია. ბოლოს ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.

ამრიგად, დანაშაულის ჩადენა იწყება არა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელებით, რომელიც თითქოს პირდაპირი ლოგიკური გზით არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, როგორც ეს დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელშია გამოხატული, არამედ სუბიექტის ბრალიდან, როგორც სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის უპასუხისმგებლობის სინონიმიდან, რის გამოც სახეზეა დანაშაულის ცნების გენეზისური მოდელი. დანაშაულის ცნების ამ მოდელს „გენეზისური“ იმიტომ ჰქვია, რომ მისი ჩადენა იწყება სუბიექტის ბრალიდან, რომელიც მართლწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ბრალი იმდენად არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რამდენადაც ბრალეულ გადაწყვეტილებას ლოგიკურად მოსდევს ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება. ეს

ფაქტი დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებით, რომლებშიც კანონმდებელი, წარსულისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით (მაგალითად, პირი აცნობიერებდა, ითვალისწინებდა და ა.შ.), გამოხატავს იმ გარემოებას, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ლოგიკურად წინ უსწრებს ბრალის ფორმები, რომლებიც ბრალის გენებისურ ბუნებას გამოხატავს. **ბრალი დანაშაულის გენებისურ მოდელში პირველია, ხოლო ის, რაც გენებისურად პირველია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში მესამეა, რადგან ნეგატიური პასუხიმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილშია გადაწყვეტილი, არამედ სუბიექტის ბრალი.**

ამრიგად, დანაშაულის გენებისურ მოდელში ბრალი დანაშაულის ცნების პირველი ელემენტია, მაშინ, როცა იგი დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელში მესამეა. თუ დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელში ქმედების შემადგენლობა პირველია, დანაშაულის ცნების გენებისურ მოდელში, პირიქით, მესამეა.

ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია იწყება გამოძიების ეტაპზე დადგენილი ქმედების შემადგენლობის გადამოწმებით, ხოლო შემდეგ გრძელდება ამ შემადგენლობიდან ქმედების მართლწინააღმდეგობაზე უკუდასკვნით, ესე იგი, რედუქციით, სადაც დანაშაულის გენებისურ ბრალდებულმა დაარღვია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება და, მაშასადამე, იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ.

აქ გაკეთებული დასკვნის ლოგიკური ბუნების გასაგებად მოკლედ განვიხილოთ რედუქციის ცნება. რედუქცია ზოგადად ნიშნავს რაიმეზე რაიმეს დაყვანას. აქედან გამომდინარე, არსებობს ამ დაყვანის უარყოფითი მხარეც, რასაც რედუქციონიზმი ეწოდება. მაგალითად, რუსული სისხლის სამართლის დოგმატიკაში დღემდე გავრცელებულია მტკიცება,

რომ პასუხისმგებლობა თურმე უნდა განისაზღვროს, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის მოვალეობა, ითმინოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები. სინამდვილეში მოვალეობა არის არა პასუხისმგებლობის, არამედ ურთიერთობის ელემენტი. მაშასადამე, დებულება, რომ პასუხისმგებლობა არის მოვალეობა, ნიშნავს ურთიერთობაზე პასუხისმგებლობის დაყვანას ანუ რედუქციას, რაც ამახინჯებს როგორც ერთს, ისე მეორეს. ეს რედუქციონიზმი მიუღებელია. მაგრამ არსებობს ისეთი რედუქცია, რომელიც რიგ შემთხვევაში დასაბუთების ლოგიკაში მეტად აუცილებელია. ამ თვალსაზრისით იგულისხმება შედეგიდან საფუძველზე უკუდასკვნა. რედუქცია შედეგიდან საფუძველზე დასკვნის ხერხია. ირკვევა, რომ შედეგიდან საფუძველზე დასკვნის აუცილებლობა არის რედუქციის აუცილებლობა. შედეგი არის საფუძვლის შედეგი, შედეგისათვის აუცილებელია საფუძველი, ხოლო შედეგისათვის საფუძვლის აუცილებლობა არის ის აუცილებლობა, რომელიც რედუქციაში უნდა განხორციელდეს.¹³ მოკლედ რომ ვთქვათ, რედუქცია არის საფუძველზე შედეგის მიყვანა და შედეგის საფუძველში გამართლება. „საფუძველი“ მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს დანაშაულის გენების, საიდანაც დანაშაულის ჩადენა დაიწყო. ცხადია, ამ თვალსაზრისით თავდაპირველად ბრალია, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი. მაგრამ უკვე ითქვა, რომ ის, რაც გენებისურად პირველია (ბრალი), ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ბოლოა, ესე იგი, მესამეა. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე ითქვა, ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია იწყება ბრალდებულის მიერ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გადამოწმებით (რაკი გამოძიების ეტაპზე ეს შემადგენლობა მეტ-ნაკლები

13 ნერეთელი ს., 1965. დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, გვ. 646.

ხარისხით დადგენილია). იგულისხმება, რომ ხსენებული შემადგენლობის განხორციელებისას არ არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება. ასეთ ვითარებაში ქმედების უკვე განხორციელებული შემადგენლობიდან სასამართლო აკეთებს უკუდასკვნას ანუ რედუქციას საფუძველზე, ესე იგი, დანაშაულის გენეზისზე, სადაც ბრალდებულმა დაარღვია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება და, მაშასადამე, იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ.

შენიშვნა: ამ მიმართებით მოსამართლეს ლოგიკურად უწევს სისხლისსამართლებრივი უმართლობის დადგენა, მაგრამ ამჯერად უმართლობის პრობლემას ვერ შევხებით, რადგან იგი ცალკე განხილვას მოითხოვს.

გამოძიების ეტაპზე დადგენილი ბრალის ფორმებიდან სასამართლო უკუდასკვნის ანუ რედუქციის წესით ადგენს, რომ ბრალდებული მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდა უპასუხისმგებლოდ, ესე იგი, ბრალეულად, რის გამოც იგი ნეგატიურადაა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე. აქ მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდებულის მიერ ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების, მათი შეგნების, მათდამი დამოკიდებულების ბუნება და ხასიათი, რაც ბრალის სისხლისსამართლებრივი ბუნების მაჩვენებელია.

მაშასადამე, აშკარაა, რომ: 1. სასამართლოს (მოსამართლეს) ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ფაქტიდან კატეგორიული უკუდასკვნა გამოაქვს (ხდება რედუქცია, ესე იგი, დაყვანა დანაშაულის გენეზისზე), როცა ირკვევა, რომ ბრალდებულმა ქმედების ეს საკანონმდებლო შემადგენლობა განახორციელა მართლსაწინააღმდეგოდ. 2. სასამართლოს ბრალის ფორმებიდან გამოაქვს უკუდასკვნა რედუქციის წესით ბრალის გენეზისზე, ესე იგი, ბრალის ფორმები ბრალზე დაჰყავს, რითაც სასამართლო ადგენს ბრალისა და მისი

ფორმების ერთიანობას. ამის საფუძველზე კი სასამართლო ბრალის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად ახორციელებს ნეგატიური პასუხისმგებლობის დიფერენციაციას და შემდეგ როგორც ნეგატიური პასუხისმგებლობის, ისე სასჯელის ინდივიდუალიზაციას.¹⁴

სამწუხაროდ, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისას მართლწინააღმდეგობაზე, როგორც წესი, საგანგებოდ არც მსჯელობენ. როგორც ჩანს, აქაც ბატონობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ, თუ ამასთან არ არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. მაგრამ რამდენადაც ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობიდან დასკვნა ქმედების მართლწინააღმდეგობაზე სავარაუდოა, გამოდის, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ამ ასპექტით ვარაუდზეა აგებული, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმად, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დადოს ვარაუდი.“ მით უფრო რთულია ამ მიმართებით ბრალის, როგორც სახელმწიფოს წინაშე ბრალეულის უპასუხისმგებლობის, შესახებ სასამართლო პრაქტიკაში დანერგვა, როდესაც ბრალის ტრადიციულ თეორიებს (ფსიქოლოგიურ თუ ნორმატივისტულ ქაპანწყვეტას) დღემდე ვაწყდებით. ასეთ ვითარებაში ამ სტატიის დასმული პრობლემები შემდგომ გაშლასა და გაღრმავებას მოითხოვს.

14 უფრო დანწირილებით იხ. ნაჭყებია გ., 2015. სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები, „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“. თბილისი, გვ. 173-176.

COMPARATIVE ANALYSIS OF GERMAN AND GENESIS MODELS OF CONCEPT OF CRIME

Guram Natchkebia

Professor Emeritus of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Law; the Director of the Scientific Research Institute of Criminal Law and Law of Criminal Procedure, Academician of Philosophical and Legal Academies of Georgia, Member of the Union of Law Scientists

KEY WORDS: action, illegal, induction

RESUME

In the Section 1 of Article 7 of Criminal Code of Georgia, it is reflected German model of the concept of crime with the following three elements: composition of action, its illegitimacy and blame of entity. Unfortunately, the genesis of criminal action it is not taken into consideration in this model of the concept of crime, as the conduct of the crime does not begin with the implementation of legislative composition of action, but with the blame of the entity, when the latter approaches to the action of lawful obligation with irresponsibility, i.e. with guilt. This infringes the obligation of lawful acts and then legislative composition of the action is executed. This is genesis model of the concept of crime, in which the criminal elements are set into contrary order to the German model: blame, illegitimacy and composition of action.

Under theoretical analysis of the German model, as a rule, those methodological principles are not taken into consideration. In accordance with those principles, the fact of legislative composition implementation (if there isn't any excluding fact of illegitimacy) inducts the

conclusion of the illegitimacy of this action (as from the essence to the turn) i.e. it is much likely that the German model satisfies the investigation interests of criminal case but, however, can not response to the requirements set by the court to qualify the action as a crime. The genesis model of the concept of crime corresponds to these requirements - when the court makes a decision

in accordance with the criminal genesis firstly it defines illegitimacy of the action, whether entity had infringed the obligation of lawful action or not, secondly it defines the blame of the entity, whether the entity approached to the action of lawful obligation with irresponsibility or not, i.e. with guilt and conducted a legislative criminal composition.

NOTES:

1. See, G. Natchkebia Anniversary Collection, 2016. Tbilisi. (In Georgian)
2. See, Natchkebia G., 2015. Practical Recommendations for the General Part of Criminal Code of Georgia. Tbilisi, pg. 222-234. (In Georgian)
3. See more at Prof. Turava M., 2011. The Doctrine of Crime. Tbilisi, pg. 326. (In Georgian)
4. See, Turava M., 2013. An Overview of General Part of Criminal Law. Tbilisi, pg. 164. (In Georgian)
5. See, Problems of Criminal Law, volume 3. 2013. Tbilisi, pg. 169-170. (In Georgian)
6. See, Tkesheliadze G.T., 1975. Case Law and Criminal Law. Tbilisi, pg. 51-54. (In Russian)
7. See, Jibuti G., 1975. Inductive Inference Nature, Tbilisi, pg. 121. (In Georgian)
8. See, Tsereteli S., 1965. Dialectical Logic, Tbilisi, pg. 632. (In Georgian)
9. Baumann (Wtber) Mitsch, Srafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 1995, s. 281- 282. (In German)
10. Roxin C. 2006. Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1. Munchen, s. 197. (In German)
11. See more at Natchkebia G., 2000. Introduction to General Theory of Qualification of Crime. Tbilisi, pg. 73-85. (In Georgian)
12. See, Natchkebia G., 1997. The Subject of Criminal Law. Tbilisi. (In Georgian)
13. See, Tsereteli S., 1965. Dialectical Logic, Tbilisi, pg. 646. (In Georgian)
14. See more at Natchkebia Guram., 2015. The Problems of Qualification of the Crime in Accordance with the Separation of Powers, "The Guidelines on the Criminal Case Verdict Form, its Validity and Stylistic Operability of the text." Tbilisi, pg. 173-176. (In Georgian)

სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კროცესში

ელენე კავთუაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის დოქტორანტი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის ასისტენტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის ასისტენტი

საკვანძო სიტყვები: სამართალი, ბავშვი, მართლმსაჯულება

*„ბავშვს განსაკუთრებული მზრუნველობისა და
დახმარების მიღების უფლება აქვს“**

მართლმსაჯულების სწორი და ეფექტიანი განხორციელება რჩება სახელმწიფოს მთავარ ამოცანად მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ზოგადი ტერმინია, რომელიც გულისხმობს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვების მიმართ გამოსაყენებელ პოლიტიკას, სტრატეგიას, კანონმდებლობას, პროცედურებსა და პრაქტიკას. ბავშვი კონფლიქტში იმყოფება კანონთან, თუ მან დაარღვია კანონი, ან თუ მას სამართალდარღვევაში სდებენ ბრალს. ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, ბავშვები

* ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, 25-ე მუხლი; ბავშვის უფლებების კონვენცია, პრეამბულა, მე-4 პუნქტი.

შეიძლება კანონთან კონფლიქტში მყოფად ჩაითვალოს, თუ მათს საქმეს განიხილავენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ან ზრდასრულთა სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში, იმ მიზეზით, რომ სახიფათო მდგომარეობაში მყოფად ითვლებიან ან საკუთარი ქცევის გამო ან იმ გარემოს გამო, რომელშიც ცხოვრობენ.¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოყენების კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის უმთავრეს ინტერესებს. ბავშვები განსხვავდებიან ზრდასრული ადამიანებისაგან ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. ამ განსხვავების გამო კანონთან ბავშვის დაპირისპირებისას მისი ბრალეულობა უფრო მცირეა. ეს და სხვა განსხვავებები განაპირობებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებელ არსებობას.²

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ფაქტორები სუბიექტური და ობიექტური ხასიათისაა. მათი შერწყმის შედეგად კი წარმოიშობა „თვისებრივად ახალი მთლიანპიროვნული მდგომარეობა – განწყობა, მომავალი ქცევისადმი მზაობა“.³ მნიშვნელოვანია ის, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ასახავს კონფლიქტს პიროვნებასა და სახელმწიფოს, ანუ ინდივიდუალურ მისწრაფებებსა და კანონებში წარმოდგენილ სოციალურ მოთხოვნებს შორის. ბავშვობის დატოვებისა და დიდის მდგომარეობაში გადასვლის მოთხოვნილება, მეორე მხრივ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების

მოთხოვნილებაში დიფერენცირდება, როგორც ჰაინც რემპლაინი წერს, „გარდამავალ ასაკში ინდივიდუალური თვითყოფნის მოთხოვნილებათა შორის დამოუკიდებლობისა და თვითღირებულების მოთხოვნილება განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი სიძლიერით“.⁴

არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა სისტემების გამოფიტვის დონეების შედარებისას უფრო მნიშვნელოვანი გადახრები ფიქსირდება სრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. ეს ნიშანდობლივია იმიტომ, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო იმთავითვე ჩამოყალიბდა როგორც სრულწლოვანთა სასამართლოს ალტერნატივა.⁵

პირველად არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემა დაარსდა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 200 წლის წინ. პირველი სასამართლო შემოიღეს ილინოისის შტატში, ჩიკაგოში, 1899 წელს და მისი მიზანი იყო, არა დამნაშავის გამართლება, არამედ იმ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება ბავშვისა და საზოგადოების ინტერესებს. თუმცა მოგვიანებით მიჩნეეს, რომ „სამართლებრივი ცერემონიების“ სიმრავლე ხელს უშლიდა მძიმე დანაშაულების ეფექტურად და სწრაფად გახსნას. ამ დრომდე ბავშვები და ახალგაზრდები ითვლებოდნენ „მინიატურულ უფროსებად“. ისინი სასამართლოს გადაეცემოდნენ და მათი ასამართლებდნენ ისევე, როგორც უფროსებს. პროგრესული პერიოდის ეპოქაში, რომელიც მოიცავდა 1880-1920 წლებს, აქტიურად მოხდა იმიგრაცია და ამის პირდაპირპროპორციულად უამრავი უპატრონო ბავშვი აღმოჩნდა ქუჩაში და ჩაება დანაშაულებრივ საქმიანობაში. თავდაპირველად გასამართლებულ ბავ-

1 Manual for the Measurement of juvenile justice indicators, Unicef, ხელმისაწვდომია: http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/06-55616_ebook.pdf

2 ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი ხასიათის შენიშვნა N10. ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ხელმისაწვდომია: <http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/CRC.C.GC.10.pdf>

3 კვირიკაშვილი ბ., ანდლუაძე თ. 2000. - საქართველოში დანაშაულობის პროფილაქტიკისა და არასრულწლოვანთა დანაშაულების კვლევის კრიმინოლოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები. ურნალი „ალმანახი“. თბილისი. გვ. 122

4 ჩხატარაშვილი შ., 1999. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, გვ. 155.

5 ადლერი ფ., მიულერი გ.ო., ლაუფერი ვ.ს. 2012. - შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გვ. 50-55.

შვებს სრულწლოვნებათან ერთად ათავსებდნენ, ხოლო მოგვიანებით სოციალური აქტივისტები, კანონმდებლები და სხვა ოფიციალური პირები მიხვდნენ, რომ ბავშვები უფროსებისგან მხოლოდ უარყოფით მაგალითს აიღებდნენ და მოექცეოდნენ უარყოფითი გავლენის ქვეშ. არასრულწლოვანთა სასამართლოს პირველი მოსამართლეები მოქმედებდნენ პატრიეს ფილოსოფიის მიხედვით. ეს ფილოსოფია გულისხმობს, რომ სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს, „როგორც მშობელმა“.⁶ სასამართლოებს მიეცათ უფლება, სრულად ჩარეულიყვნენ, თუ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების წინააღმდეგ არ იქნებოდა მიმართული. მოგვიანებით აღნიშნული ფილოსოფია გადაიხედა და ნელ-ნელა გაფართოვდა. იგი მუდმივად განიხილება სასამართლო სისტემაში. საქმეების სირთულემ კი უზრუნველყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დახვეწა და განვითარება.

1971 წელს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სასამართლო ადმინისტრირების ინსტიტუტის და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის გავლენიანმა გაერთიანებულმა კომიტეტმა შეიმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიტერიუმთა მთელი წყება. კომიტეტმა წამოაყენა წინადადება, რომ დადგენილებები არასრულწლოვანთა საქმეების შესახებ დანაშაულის სერიოზულობას უნდა ეფუძნებოდეს და არა მხოლოდ არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებზე სასამართლოს თვალსაზრისს.⁷

ბოლო 100 წლის განმავლობაში იუვენალური იუსტიციის სხვადასხვა სისტემა განვითარდა თითქმის მთელ მსოფლიოში. 80-იანი წლების დასაწყისიდან ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლეს შტა-

ტში გაუქმდა არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლოები, რის შემდეგაც 16 წლამდე მოზარდებს, რომლებსაც ბრალად ედებათ მძიმე დანაშაულის ჩადენა, ასამართლებდნენ, როგორც სრულწლოვანს.⁸

ბავშვთა დამოზარდობის საკუთრებული სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა კაცობრიობამ ეტაპობრივად გააცნობიერა. ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული პირველი უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტი – დეკლარაცია ბავშვთა უფლებათა დაცვის შესახებ - ერთა ლიგის მიერ მხოლოდ 1924 წელს იქნა მიღებული. ყოველთვის უნდა ხდებოდეს ბავშვის უფლებების პატივისცემა და დაცვა, მიუხედავად მისი ასაკისა, აგრეთვე იმ მიზეზისა და როლისა, რომლითაც ის მოხვედრილია მართლმსაჯულების სისტემაში. მართალია, აღნიშნული მითითებები არ წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტს, მაგრამ მათი გამოყენება უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე ქვეყნებს, შექმნან არასრულწლოვანთა სასამართლოები, როგორც ცალკე მდგომი ერთეულები ან რეგიონული /რაიონული სასამართლოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სტატუსით. თუკი ეს პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელი არ არის,

მონაწილესახელმწიფოებივალდებული არიან, დანიშნონ მოსამართლეები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ვიწრო სპეციალიზაციით.⁹ ამასთან, ბავშვთა მომუშავე სპეციალისტებმა უნდა გაიარონ სწავლება ბავშვის უფლებებისა და საჭიროებების შესახებ, აგრეთვე ყველა ასაკობრივი ჯგუფის და განვითარების ყველა დონის ბავშვთან ურთიერთობის

6 Development of the Juvenile Justice System, ხელმისაწვდომია: <http://criminal.findlaw.com/juvenile-justice/development-of-the-juvenile-justice-system.html>

7 არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. 2011. (საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები) გამოცემულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF)-ის მიერ. თბილისი. გვ.120

8 George L. Kelling, 1985. "Order Maintenance, the Quality of Urban Life, and Police: A Line of Argument," in Police Leadership, ed. William A. Gelles (Chicago; American bar Association), p.297

9 Juvenile Defence Police and Practice Career Resource Guide, 2015, ხელმისაწვდომია: septembernjdc.info/.. /specialization-in-juvenile-defense/

თავისებურებების შესახებ, ასევე – განსაკუთრებით მოწყვლად სიტუაციებში მყოფ ბავშვებთან ურთიერთობის თავისებურებების შესახებ.¹⁰

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო სისტემა ასევე მოითხოვს, სპეციალიზებული ერთეულების შექმნას პოლიციის, სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული დახმარების ან მსგავს სისტემებში, რომლებიც იურიდიულ ან სხვა სახის დახმარებას უწევენ ბავშვს.

ბავშვის უფლებათა კონვენციაც გვეუბნება, რომ „როცა საქმე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ეხება, სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ სპეციალიზებული ინსტიტუტები ამ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.“¹¹ დადგენილების გამოტანისას არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლეებს გაცილებით მეტი სიფრთხილე მართებთ, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლეებს,¹² რადგან გარდატეხის ასაკამდე ბავშვები ვერ იაზრებენ იურიდიული პროცესის წარმომადგენელთა როლს და ამის შემდეგაც მათი აღქმა შეზღუდულია.¹³

საინტერესოა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ს.ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც საქმე ეხება ისეთ ბავშვს, რომელთანაც არსებობს რისკი, რომ იგი ახალგაზრდა ასაკისა და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო ვერ შეძლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ეფექტურად მონა-

წილეობას, მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვა მოხდეს სპეციალიზებულ სასამართლოში, რომელსაც შესწევს უნარი, გაითვალისწინოს ყველა დაბრკოლება, განახორციელოს სწორი მოქმედებები და მოახდინოს საჭიროებისამებრ ადაპტირება.¹⁴

საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არ არსებობს არასრულწლოვანთა სასამართლოები. არ არსებობდნენ არასრულწლოვანთა საქმეებთან დაკავშირებით სპეციალური კვალიფიკაციის მქონე მოსამართლეები, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არ იყვნენ პროფესიონალები, რომლებიც სპეციალურად იქნებოდნენ დაკავებული ბავშვთა საქმეებით. არასრულწლოვანთა საქმის სასამართლო გარჩევა არ განსხვავდებოდა მოზრდილთათვის დადგენილი იმავე პროცესისაგან, გარდა იმისა, რომ მათ მიმართ ასაკის გამო გამოიყენება დამატებითი დამცავი ზომები. გარდა ამისა, სანამ არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავენ, მოსამართლეებს მოეთხოვებოდათ, გაეფლათ სპეციალური მოსამზადებელი კურსი პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, ხოლო სხვა მოხელეებისათვის, რომლებიც მსახურობენ სამართალდამცავ ორგანოებში ან ისეთ ორგანიზაციებში, რომლებსაც საქმე ჰქონდათ მართლმსაჯულებასთან, ამგვარი სწავლების სპეციალური რამდენიმე დღიანი, ან უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე კვირიანი ტრენინგები ტარდებოდა. ეს ყოველივე კი ეწინააღმდეგებოდა პეკინის წესების 22.1 წესს, რომლის მოთხოვნითაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ნებისმიერი რგოლის თანამშრომელთა შტატმა, რომელსაც ეხება არასრულწლოვანთა საქმეები, უნდა გაიაროს სპეციალური სასაწავლო კურსი. აგრეთვე იურისტებმა, რომლებსაც ევალებათ არასრულწლოვანის ინტერესების წარმოდგენა, უნდა გაიარონ სათანადო კვალიფიკაციის ასამაღლებელი

10 ხელმისაწვდომია: [http://www.coe.int/t/dghl/standard-setting/prisons/Rec\(99\)19%20Georgian.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standard-setting/prisons/Rec(99)19%20Georgian.pdf)

11 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ხელმისაწვდომია: <http://ick.ge/articles/20207-i.html>

12 Don M. Gottfredson., Michel R. Gottfredson, Stephan D. Gottfredson, et al...ers, 1994. improving information for Rational Decision Making in Juvenile Justice (Sacramento, Calif: Justice Policy Research Corp) p. 55

13 Children in the Courtroom, 2008. Challenges for lawyers and Judges, 2nd Ed., p. 123, citing Susan R. Hall., Bruce D. Sales, Courtroom Modifications for Child Witnesses: Law and science in forensic Evaluations,) Washington., P. 12

14 ს.ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2004. - (განაცხადი N60958/00) სტრასბურგი, 15 ივნისი.

კურსი და გაეწიოთ ზედამხედველობა, როდესაც ისინი კონსულტაციას უწევენ არასრულწლოვნებს. ღონისძიებები, რომლებიც ამ კუთხით მიმდინარეობდა, არ იყო საკმარისი და არ იძლეოდა რეალურ შედეგს პროფესიონალი სპეციალიზებული პერსონალის სახით. არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონიც ცალსახად უთითებს, რომ არასრულწლოვანთან მომუშავე სპეციალისტებს (პირს, რომელსაც თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში შეხება აქვს არასრულწლოვანთან) გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სპეციალიზაციის კურსი.¹⁵

მართალია, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესრულების მიზნით საქართველოში არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავდნენ ის მოსამართლეები რომლებსაც სპეციალური მომზადების კურსები ჰქონდათ გავლილი და შესაბამისი სერტიფიკატებიც გააჩნდათ, მაგრამ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლეებს დამატებითი განათლება უნდა ჰქონდეთ, როგორც სამართლებრივ საკითხებში, ასევე ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკასა და სხვა ისეთ დარგებში, რომლებიც დაეხმარებათ, სწორად განესაზღვრონ მოზარდის სულიერი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტში. ამასთან, მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს და გაითვალისწინოს ის მიზეზებიც, რომლებმაც მოზარდი დანაშაულამდე მიიყვანა.

სპეციალიზებული ინსტიტუტების არსებობა – ეს არის ერთ–ერთი მთავარი. სწორედ ეს შემოიტანა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალმა კოდექსმა, რომელიც საქართველოში 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ საქართველოში არიან სპეციალიზებული პოლიციელები, გამომძიებლები, პროკურორები და

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სპეციალიზებული მოსამართლეები, რომლებიც ბავშვების საქმეებს იძიებენ და განიხილავენ. კოდექსმა დაამკვიდრა სპეციალიზაცია, რაც ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა ინტერსების მაქსიმალურად დასაცავად, იმისთვის, რომ პროცესი ხარვეზების გარეშე წარიმართოს, სავალდებულოა პროცესში მონაწილე პირები სპეციალიზებული იყვნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, მაშინ როდესაც არ არის შესაძლებელი შეიქმნას არასრულწლოვანთა ცალკე სასამართლოები, სპეციალიზაცია არის სავალდებულო მოთხოვნა.

პერსონალის სათანადო კვალიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებელი იყო სპეციალისტების შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია. გადამზადება საჭირო იყო არა მხოლოდ იმათთვის, ვინც პირადად ჩართულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, არამედ იმ პირებისთვისაც, ვისი ყოველდღიური საქმიანობაც დაკავშირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან. მათ უნდა გააჩნდეთ სათანადო ცოდნა ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ასპექტებზე.

აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული კადრების არსებობა და არასრულწლოვანთა საქმეების საერთო სასამართლოსაგან დამოუკიდებლად განხილვა ევროპული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრაქტიკაა. მაგალითად, გერმანიაში არსებობს არასრულწლოვანთა სპეციალური სასამართლო, რომელიც სამი ტიპის სანქციას აწესებს: აღმზრდელობითს, დისციპლინურს და თავისუფლების აღკვეთას. ფრანგული კანონმდებლობის თანახმად კი არ შეიძლება არასრულწლოვნის საერთო სასამართლოს მიერ გასამართლება. შემთხვევის სიმძიმის მიხედვით საქმეს განიხილავენ ან ბავშვთა სასამართლოები, ან სპეციალური არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლოები. ანალოგიურ დათქმას ითვალისწინებს ინგლისის პრეცედენტული

15 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი. 2007

სამართალიც.¹⁶

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო სისტემა ასევე მოითხოვს სპეციალიზებული ერთეულების შექმნას პოლიციის, სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული დახმარების ან მსგავს სისტემებში, რომლებიც იურიდიულ ან სხვა სახის დახმარებას უწევენ ბავშვს.¹⁷

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მიღება და მისი ამოქმედება მიზნად არა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე მხარეთა გადაზიდვას ითვალისწინებს, არამედ მისი ძირითადი იდეა და არსი დამყარებულია არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდოლოგია და მასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხზე, რომლებიც პირს აღჭურავს იმ უნარ-ჩვევებით, რომლებიც სავალდებულოა მართლმსაჯულების განხორციელებისას დაზარალებულ ან/და მოწმე ბავშვებთან ურთიერთობებში, აღნიშნული კი ურთიერგადაჭაჭვულ სისტემას წარმოადგენს, რომლის ელემენტები ერთმანეთს ემყარება და ერთმანეთის საფუძველს ქმნის. როგორც ადვოკატთა ასოციაციის, ისე პროკურატურის ორგანოების ძალისხმევით დროულად ჩამოყალიბდა ახალ მოდელზე გადასვლის სტრატეგია და 2015 წელს სისტემატიურად მიმდინარეობდა და ამჟამადაც მიმდინარეობს შესაბამისი მომზადების კურსები.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბერის №668 დადგენილებით განისაზღვრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა

პირი ვალდებულია, გავლილი ჰქონდეს ტრენინგები შემდეგ სფეროებში:

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები;
3. ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები;
4. ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;
5. დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა

რაც უზრუნველყოფს, რომ გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ყველა პირს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დანერგილი სიახლეები, განსაკუთრებული მიდგომები და სტანდარტები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური ასპექტები, ბავშვის განვითარების, ასაკობრივი თავისებურებებისა და ტრავმული გამოცდილების გავლენა ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის ჩამოყალიბებაზე,¹⁸ რომლითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული, არასრულწლოვანთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევის საფრთხე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით – „ეს კოდექსი გამოიყენება კანონთნ კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. ხოლო ამავე კოდექსის მე-6 ნაწილის მიხედვით არასრულ-

16 საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში ოუსტიციის სამინისტროს მიერ ახალი საკანონმდებლო აქტის, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტი შემუშავდა. ხელმისაწვდომია: <http://freeview.ge/2015-04-18-07-29-00/>

17 ზოგადი კომენტარი #5, 2003. ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისათვის ზოგადი ღონისძიებების შესახებ, 45-ე პუნქტი.

18 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბერის №668 დადგენილება – „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3143176>

წლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი/პროცესის მონაწილე პირია – მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიკოსი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ამასთან, მე-16-21-ე მუხლები განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციას, სადაც დეტალურადაა განმარტებული, რომ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს წარმართავენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები“, ამასთან, „თუ არასრულწლოვანის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, ხოლო არასპეციალიზებული პირი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს არასრულწლოვანის მართლმსაჯულების პროცესს.“

ამ მხრივ საინტერესოა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის განჩინება სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბრალმდებლის - პროკურორისა და ბრალდებულის ადვოკატების აცილების შესახებ, სადაც სახელმწიფო ბრალმდებელი და ბრალდებულის ადვოკატები შემდეგი საფუძვლით იქნენ აცილებულნი: წარმოდგენილი მასალების თანახმად, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის შესაძლო მტკიცებულებათა ნუსხაში მითითებულნი იყვნენ არასრულწლოვნები, როგორც მოწმის სახით დასაკითხი პირები.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებ-

ბის კოდექსი“ მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესია – არასრულწლოვანის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება.. ამავ კანონის მე-20 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, არასრულწლოვანის საქმეს წარმართავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ვალდებულია, კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი. იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანს პირველი მოთხოვნისთანავე უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით.

დასახელებული კანონი ამოქმედდა 2016 წლის 01 იანვარს და მისი მთავარი პრინციპი, პირველ რიგში, არის ბავშვის საუკეთესო ინტერესზე დაფუძნებული ინდივიდუალური მიდგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ყველა ბავშვს უნდა მოეპყრან თავისი საჭიროებისდა მიხედვით. პირველ რიგში, ეს საჭიროებები უნდა იყოს კარგად შესწავლილი ნებისმიერ ეტაპზე. კანონით სავალდებულო გახდა პროფესიონალთა სპეციალიზაცია, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს პროკურორის და ადვოკატის, როგორც ბრალდების და დაცვის მხარის ვალდებულებას, ჰქონდეთ სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. სასამართლომ განმარტა, რომ ხსენებული კოდექსი მართლმსაჯულების ახალ სტანდარტებსა და ნორმებს ამკვიდრებს არა მხოლოდ კანონთან კონფლიქტში

მყოფი არასრულწლოვნების, არამედ დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნების მიმართაც. მითითებული კოდექსის მიხედვით შეიქმნა სპეციალიზებული ინსტიტუტები, რომლებიც არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობენ. ხსენებული კოდექსის მოთხოვნების ეფექტური იმპლემენტაცია დაკავშირებულია სწორედ სპეციალიზებული ინსტიტუტების დროულად მომზადებასა და მათს ეფექტურ მუშაობასთან.

განსახილველ შემთხვევაში კინათელია, რომ ერთ-ერთ სახელმწიფო ბრალმძებელს და ადვოკატებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალური მომზადების კურსები გავლილი არ აქვთ, შესაბამისად, მათი მონაწილეობა კონკრეტულ სისხლის სამართლის პროცესში მითითებული მომზადების გარეშე კანონსაწინააღმდეგოა და ისინი აცილებულ იქნენ. ვინაიდან სასამართლომ აცილება მისცა ადვოკატებს და ბრალდებული პრაქტიკულად სამართლებრივი დახმარების გარეშე დარჩა, სასამართლომ მიზნაშეწონლად მიიჩნია, ხელშეკრულებით სერტიფიცირებული ადვოკატის აყვანამდე და თუნდაც შემდგომ ეტაპზე მას დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ბრალდებულს სამართლიანი სასამართლოს უფლებით, ხოლო, მეორე მხრივ, დაცული იქნება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“-ის სავალდებულო მოთხოვნები.¹⁹

აქვე საინტერესოა შევხვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განაჩენს არასრულწლოვანი ბრალდებულის გ.ბ.-ს მიმართ, სადაც პალატა მსჯელობს, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში მისი საქმის წარმოებისას

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის შესრულება, რომლის მიხედვით არასრულწლოვნის საქმეს წარმართავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, არ იქნა დაცული. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რომელიც დაიწყო 2015 წლის 29 სექტემბერს და დამთავრდა 2016 წლის 12 თებერვალს, ანუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებიდან 1 თვესა და 12 დღეში – რამდენად შესაძლებელი იყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვით, სპეციალიზებული ადვოკატის მონაწილეობა, საქმეში ჩაბმულ ადვოკატთან ერთად ან დამოუკიდებლად, აღნიშნულზე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია. კანონის მოთხოვნა დაცულ იქნა სააპელაციო სასამართლოში, რა დროსაც საქმის წარმოებაში გ.ბ.-ს ინტერესების დასაცავად ჩართული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი და ის გასამართლდა მისი თანდასწრებით. მას ჰქონდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების გაცნობისა და თავის დაცვის უფლება. აღნიშნული კი მიეკუთვნება სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ პრინციპს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს. (Centre for Civil and Political Rights, მუხ.14) თუმცა აქვე პალატა აღნიშნავს, რომ ეს დარღვევები, სასამართლოს თვალსაზრისით, ვერ გახდება კანონთან კონფლიქტში მყოფი გ.ბ.-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი.

აქვე, მნიშვნელოვანია შევხვით 18-21 წლამდე პირებს. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ეს კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ

19 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის განჩინება სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბრალმძებლის - პროკურორისა და ბრალდებულის ადვოკატების აცილების შესახებ, ხელმისაწვდომია: http://court.ge/courts/baTumis_saqalaqo_sasamarTlo/?page=25&id=2765

ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ თუ ეს პირი ბრალდებული/მსჯავრდებული/ გამართლებული და დაზარალებულია, მას აქვს უფასო იურიდიული დახმარების უფლება. საინტერესოა, უნდამოხდეს თუ არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის და პროკურორის ჩართვა ამ შემთხვევაში? მიგვაჩნია, რომ 18-დან 21 წლამდე პირთა დანაშაულთა საქმეებზე საჭიროა სპეციალიზებული პროკურორისა და ადვოკატის ჩართვა. ხოლო სახელმწიფოს ხარჯზე მისთვის ადვოკატის დანიშვნა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა 18-დან 21 წლამდე პირი თავად გამოხატავს ადვოკატის ყოლის სურვილს და აღნიშნულ ადვოკატს უნდა ჰქონდეს სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით.

ასევე საინტერესოა შემთხვევა, როდესაც 14-დან 18 წლამდე ასაკის პირი

სამართალწარმოების პროცესში გახდა სრულწლოვანი? როგორ უნდა მოხდეს მისი საქმის განხილვა? ასეთ შემთხვევაში საქმეზე საპროცესო ზედამხედველობასა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა უნდა გააგრძელონ საქმეში თავიდან ჩართულმა სპეციალიზებულმა პროკურორმა და სპეციალიზებულმა ადვოკატმა.

დაბოლოს, გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულების ჩამოყალიბებას. მოცემულ შემთხვევაში სწორედ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონთან გვაქვს საქმე, სადაც გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტურობასა და მომავალში მის წარმატებულ განვითარებას.

SPECIALIZATION IN JUVENILE JUSTICE PROCESS

Elene Kavtushvili

*PhD Candidate at the University of Georgia,
European Teaching University, Assistant
Caucasus International University, Faculty of law, Assistant*

KEY WORDS: law, child, justice

RESUME

Juvenile crime is an international phenomenon and as the world's juvenile justice system study shows, no country in the world could escape this problem.

While all democratic and legal state is trying to create a humane criminal justice policy, International challenges are created in accordance with the laws of the liberal model of minors.

This article discusses Specialization of all parties involved in juvenile justice, their role in the fair conduct of the process itself. The issue of international experience and practice of Georgia, As of January 1, 2016, also since it has been launched a new Juvenile Justice Code.

NOTES:

1. Manual for the Measurement of juvenile justice indicators, Unicef. available: http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/06-55616_ebook.pdf (In English)
2. Children's Rights Committee general note N10. Children's Rights in Juvenile Justice, available: <http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/CRC.C.GC.10.pdf> (In Georgian)
3. Kvirikashvili B., Andguladze T. – 2000. Crime prevention and juvenile crimes criminological research-psychological aspects of Georgia. Magazine "Almanac". Tbilisi. P. 122 (In Georgian)

4. Chkhatarashvili Sh. – 1999. Education of social psychology,. Tbilisi, p. 155(In Georgian)
5. Adler U., Mueller g.o.v., Lauperi VS, 2012.- Comparative Criminology and law enforcement systems in the United States, p.50-55 (In Georgian)
6. Development of the Juvenile Justice System. available: <http://criminal.findlaw.com/juvenile-justice/development-of-the-juvenile-justice-system.html> (In English)
7. Administration of juvenile crime. 2011. (Of legislation and international legal mechanisms), published by the United Nations Children’s Fund (UNICEF). Tbilisi. P.120 (In Georgian)
8. George L. Kelling, 1985.“Order Maintenance, the Quality of Urban Life, and Police: A Line of Argument, in Police Leadership, ed. William A. Gelles (Chicago; American bar Association,.) p. 297 (In English)
9. Juvenile Defence Police and Practice Career Resource Guide, 2015, september available: njdc.info/.. /specialization-in-juvenile-defense/ (In English)
10. available: [http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/prisons/Rec\(99\)19%20Georgian.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/prisons/Rec(99)19%20Georgian.pdf) (In English)
11. Juvenile Justice Code, available: <http://ick.ge/articles/20207-i.html> (In Georgian)
12. Don M. Gottfredson., Michel R. Gottfredson, Stephan D, Gottfredson, et al...ers, 1994. improving information for Rational Decision Making in Juvenile Justice (Sacramento, Calif: Justice Policy Research Corp), p. 55 (In English)
13. Children in the Courtroom, 2008. Challenges for lawyers and Judges, 2nd Ed., p. 123, citing Susan R. Hall., Bruce D. Sales, Courtroom Modifications for Child Witnesses: Law and science in forensic Evaluations,) Washington, P. 123 (In English)
14. The case of SK vs United Kingdom – 2004.(statement N60958 / 00) Strasbourg, June 15, (In Georgian)
15. Model Law on Juvenile Justice, 2007 (In Georgian)
16. Georgia’s criminal justice system, the Ministry of Justice developed the project of a new legislative act, “Juvenile Justice Code”. available: <http://freeview.ge/2015-04-18-07-29-00/>(In Georgian)
17. General Comment No. 5, 2003. CRC for the implementation of the general measures, paragraph 45.(In Georgian)
18. December 30, 2015 of the Government Decree №668 - “juvenile justice and the process of carrying out this process of specialization of persons involved in approval of standards”, available: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3143176> (In Georgian)
19. Batumi City Court’s judgment of 29 January 2016, The public prosecutor in a criminal case – prosecutor and the lawyers for challenge available: http://court.ge/courts/baTumis_saqalaqo_sasamarTlo/?page=25&id=2765 (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Criminal Code of Georgia. 1999. Version of May 2015. (In Georgian)
2. Juvenile Justice Code of Georgia. 2015. Version of October, 2016. (In Georgian)
3. Convention on the rights of the child of 1989, the Edition of the October, 2016. (In Georgian)
4. Batumi City Court's judgment of 29 January 2016. (In Georgian)
5. The Criminal Chamber of the Supreme Court of Georgia - The judgment of 29 July 2016. (In Georgian)
6. S.k. The United Kingdom - (statement N60958 / 00) Strasbourg, June 15, 2004 (In English).

მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში

ანა გურიელი

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიუდიული
ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი, მედიატორი*

საკვანძო სიტყვები: მოსამართლე, როლი, გაძლიერება

შესავალი

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დიდი ხანია აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ამბიციები. ხშირია საუბარი იმის თაობაზე, რომ პრიორიტეტია ადამიანის უფლებების დაცვა, რომ სათანადო რეაგირებას საჭიროებს თითოეული საკითხი, რომელიც, შესაძლებელია, საფრთხეს უქმნიდეს აღნიშნულ ღირებულებას.

მსგავსი შინაარსის სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა რჩებოდეს რიგით დაპირებად. აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების განხორციელება – საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს საერთაშორისო აქტებითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებების დაცვას. სამართლის ნებისმიერი დარგი უნდა იყოს ორიენტირებული სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევაზე და გამონაკლისს არც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უნდა წარმოადგენდეს.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა იმ უფლებათა და თავისუფლებათა ჩამონათვალში, რომელსაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ურომლისოდაც სრულყოფილი სამართალწარმოების განხორციელება სამართლებრივ და დემოკრატიული პრინციპების მეორე სახელმწიფოში წარმოდგენილია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებადაცულია არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, არამედ იგი ასახულია ასევე ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორებიცაა: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია და ა.შ.

სამართლიანი სასამართლოს განხილვის წინაპირობაა მხარეთა თანასწორობის პრინციპის სწორი რეალიზება, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსამართლის როლსა და მისი უფლებამოსილების ფარგლებზე. სწორედ მოსამართლეა ის ფიგურა, რომელმაც პრაქტიკულად, პროცესის მიმდინარეობისას, უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პრინციპის განხორციელება.

ამის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია მოსამართლის როლის გაანალიზება სისხლის სამართლის პროცესში, მისი მოქმედების ფარგლების განსაზღვრა. ნაშრომში მიზნადაა დასახული ამ თვალსაზრისით ქართული სამართლის ნაკლოვანებების იდენტიფიცირება, რომელსაც უნდა მოჰყვეს რეკომენდაციები საკითხის გაუმჯობესებელი რეგულირების მიზნით გასატარებელ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

სხვადასხვა სახელმწიფოში მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სისხლის სამართლის პროცესში განსხვავებულად წესრიგდება საკუთარი ისტორიის, სოციალური თუ პოლიტიკური

განვითარების გათვალისწინებით. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებული საკითხის რეგულირება, არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, ეყრდნობოდეს მოცემულ სფეროში აპრობირებულ პრაქტიკას.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. შესავლის შემდგომ ნაშრომის მეორე თავი დაეთმობა საკითხის ზოგად ანალიზს; მესამე თავში განიხილება ინკვიზიციური და შეჭიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი მახასიათებლები, რაც ფაქტობრივად განსაზღვრავს მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლებს; მეოთხე თავში ყურადღება გამახვილდება საქართველოში მოქმედ რეგულირებაზე; დასკვნა დაეთმობა განხორციელებული კვლევის შედეგების შეჯამებას, შემუშავდება კონკრეტული საკანონმდებლო რეკომენდაციები.

1. პრობლემის ანალიზი

როგორც შესავალშიც აღინიშნა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპია. აღნიშნულს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ამდენად, საქმის სამართლიანად განხილვის შესახებ მოთხოვნა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პრაქტიკული განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი მხარე არ ჩადგეს

არახელსაყრელ პირობებში თავისივე ოპონენტის საპირისპიროდ.

პრინციპის თეორიული აღიარება არ არის საკმარისი. პოლიტიკური ნება სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის თაობაზე უნდა აისახოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში კონკრეტული ქმედითი ნორმების გათვალისწინების საშუალებით. საინტერესოა, რა გზით უნდა გამოვლინდეს აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა? ზოგადად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არის ნებისმიერი სისხლის სამართლის სისტემის ძირითადი დოკუმენტი და განსაზღვრავს სამართლებრივ კულტურას, პროცესის მონაწილეთა მოლოდინებსა და სამართლის ინსტიტუტების განვითარების მიმართულებას;¹ ამასთან, სამართლის არც ერთი დარგი არ ახდენს გავლენას იმდენი ადამიანზე ბედსა და ცხოვრების ხარისხზე, როგორც სისხლის სამართალი. მეტიც, სისხლის სამართალში ხანდახან გარდაუვალია დამნაშავე პირების გამართლება და უდანაშაულო პირების მსჯავრდება.²

აღნიშნული ტიპის შემთხვევები ფიქსირდება, იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართალი ეფუძნება შემდეგ საერთაშორისოდ აღიარებულ მიდგომებს: არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე; არ არსებობს სასჯელი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; სისხლის სამართლის ფუნდამენტად მიიჩნევა უდანაშაულობის პრეზუმფცია; აღიარებულია ადამიანის სიცოცხლის თავისუფლებისა და საკუთრების უფლება; სამართლიანი სასამართლოს უფლება; პირის უფლება, არ აღიაროს დანაშაული; გასაჩივრების უფლება;³ აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართალი განიმარტება, როგორც სა-

ზოგადობის რეაგირება დანაშაულის მიმართ. ხოლო სისხლის სამართლის, როგორც მეცნიერების, მიზანია პროცესის მიზნების განხორციელება ყველაზე ჰუმანური და ეფექტიანი გზებით.⁴

რეალურად, გარკვეული თვალსაზრისით, სასამართლო სისტემა მეტნაკლები ხარისხით სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის, ფუნქციების შემთავსებელ უწყებადაც კი მიიჩნევა და ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამართლის ნორმათა განმარტების პროცესში. ეს ხდება, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტულ, ვიწრო საკითხებთან მიმართებით.⁵ ზოგიერთ სახელმწიფოში აღნიშნული მეტად თვალსაჩინოა, ზოგან კინაკლებად. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში კანონმდებლობასა და მართლმსაჯულების სისტემაზე გამოკვეთილი კონტროლი არ ყოფილა. მიმდინარე პერიოდშიც სასამართლოს ორგანიზაციული მოწყობა, ისევე როგორც გარკვეული პროცედურები, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თავად სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და არა პარლამენტის შემუშავებულ კანონზე.⁶ აღნიშნული მით უფრო აუცილებელს ხდის, რომ სასამართლოს უფლებამოსილების მარეგულირებელი, მოქმედი ნორმები შეესაბამებოდეს კონკრეტულ სტანდარტებსა და საზოგადოების მორალურ ღირებულებებს.⁷

ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესში ნებისმიერი პრობლემა გამომდინარეობს ორი მხარის ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციიდან, რომლებიც იბრძვიან გამარტვებისათვის.⁸ სისხლის

1 Strang R., 2008. More Adversarial, but Not Completely Adversarial: Reformasi of the Indonesian Criminal Procedure, Code Nineteenth Annual Philip D. Reed Memorial Issue, p. 188.
2 Ipp D., 2000. Adversarial Justice in transition, University of Western Australia Law Review, p. 288.
3 Bassiouni M., 1997. Crimes and the Criminal Process, Arab Law Quarterly, p.271.

4 Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review , .p. 175
5 Laskin B., 1972.The Judge and Due Process, Manitoba Law Journal, p. 236.
6 Caenegem W., 2003. Adversarial Systems and Adversarial Mindsets: Do We Need Either, Bond Law Review, p. 114.
7 Ringold S., 1976. A Judge's Personal Perspective on Criminal Sentencing, Washington Law Review, p.631.
8 Caenegem W., 2003. Adversarial Systems and Adver-

სამართალში მოქმედი რეგულაციების აქტუალობას ზრდის სამართლის ამ დარგისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სირთულეებიც. სისხლის სამართლის შეჭიბრებით პროცესში პროკურატურა ხომ ცდილობს, დაამტკიცოს პირის ბრალეულობა, ხოლო დაცვის მხარე დავობს საწინააღმდეგოს დამტკიცების მიზნით, არ აღიარებს ბრალს.⁹ ამასთან, ადამიანები, რომლებიც სწრაფად დანაშაულს, როგორც წესი, სასჯელს მიიჩნევენ უსიამოვნო შედეგად, რომელიც უბრალოდ, თავიდან უნდა აიცილონ. ისინი თავდაპირველად გაურბიან აღკვეთის ღონისძიებებს. პატიმრობის შემთხვევაში ცდილობენ დანაშაულის უარყოფას და, როგორც წესი, არ თანამშრომლობენ პოლიციასთან. აკეთებენ ყველაფერს, რაც შედის მათი შესაძლებლობის ფარგლებში, რათა ისინი არ ცნონ ბრალეულებად. ეს არის ბრძოლა პროცესის დაწყებიდან ბოლო მოქმედებამდე.¹⁰

სისხლის სამართლის პროცესის უშუალო თანმხლები, ზემოთ მითითებული სირთულეებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია მოსამართლის როლისა და მისი უფლებამოსილების ფარგლების ადეკვატური რეგულირება. სწორედ მოსამართლე არის ფიგურა, რომელსაც უნდა გააჩნდეს მოქმედების საკმარისი თავისუფლება იმისათვის, რათა მისი შესაძლებლობები პროცესში იძლეოდეს რიგი საკითხების ეფექტიანი გადაწყვეტის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, საბოლოოდ პროცესის შედეგებზე უნდა აისახოს.

ზოგადად, მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების მოწესრიგება სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა

სამართლის სისტემაში მუდმივად განიცდიდა ცვლილებებს და სავარაუდოდ მომავალშიც შეიცვლება.¹¹ როგორც ითქვა, ამ ეტაპზე საქართველოსათვის მნიშვნელოვანია საკითხების იმგვარი გადაწყვეტა, რაც პროცესს მეტად ეფექტიანს გახდის. აუცილებელია კანონმდებლობის მოქალაქეთა ინტერესებთან შესაბამება, ვინაიდან, თუ კანონმდებლობა არ ასახავს საზოგადოების ფასეულობებს, ის კარგავს ლეგიტიმაციას.¹²

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ფორმალურად რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს: ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია; დანაშაულის გამომწვევი მიზეზის იდენტიფიცირება; გამოძიების წარმართვა; ბრალდების პროცესი; წინასასამართლო სხდომა; განაჩენის დადგენა.¹³ მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა მნიშვნელოვანია თითოეულ მითითებულ ეტაპზე.

2. ინკვიზიციური და შეჭიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი მახასიათებლები

მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სისხლის სამართლის პროცესში დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ პროცესის რომელი მოდელია მიღებული კონკრეტულ სახელმწიფოში. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სისხლის სამართლის პროცესის ისტორიულ-სამართლებრივ განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა მისი ფორმებიც.

აღიარებული მიდგომის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი, შესაძლებელია, იყოს შეჭიბრებითი ან ინკვიზიციური. ორ მოდელს შორის განსხვავებას

9 Roberts P., 1994. Science in the criminal process, Oxford Journal of Legal Studies, P. 471.
10 Roberts P., 1994. Science in the criminal process, Oxford Journal of Legal Studies, P. 472.

11 Ipp D., 2000. Adversarial justice in transition, University of Western Australia Law Review, P.290.
12 Ipp D., 2000. Adversarial justice in transition, University of Western Australia Law Review, P. 289.
13 Kaufman F., 1981. A criminal process? Maryland Law Forum, P.16.

ძირითადად განსაზღვრავს შემდეგი გარემოებები: ვინ ახდენს პროცესუალური საკითხების ინიცირებას; ვინ მოიძიებს მტკიცებულებებს; ვინ განსაზღვრავს პროცედურების თანმიმდევრობასა და შინაარსს.¹⁴ ასევე მნიშვნელოვანია, თუ ვინ გეგმავს შესაბამის ნაბიჯებს საქმის-წარმოების გაგრძელების მიზნით¹⁵.

შეფასებები, როგორც წესი, განსხვავებულია: ერთი მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ სამართლიანობა უკეთ მიიღწევა შეჭიბრებითობის პრინციპის გამოყენებით.¹⁶ პროცესის მითითებულ ფორმასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იგი ჩამოყალიბდა 200 წლის წინ და მას შემდეგ უწყვეტად განიცდის ცვლილებებს.¹⁷ პროცესის ამ ტიპისათვის დამახასიათებელია: 1. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარის – ბრალდებისა და დაცვის არსებობა; 2. მხარეების პროცესუალური თანასწორობა; 3. მხარეებისაგან სასამართლოს დამოუკიდებლობა.

შესაბამისად, შეჭიბრებითი პროცესის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, თავის თავზე აიღოს ბრალდების ან დაცვის ფუნქცია. ის განიხილავს საქმეს, რომელშიც პირი ბრალდებულად სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანომ ცნო. ამასთან, მას უფლება არა აქვს, გასცდეს ბრალდების ფარგლებს.¹⁸ ე.ი. სისხლის სამართლის

შეჭიბრებით პროცესში მხარეები აგროვებენ მტკიცებულებებს და წარმოადგენენ პროცესზე სიტყვიერად, კითხავენ მოწმეებს როგორც პირდაპირი, ასევე ჭკარედინი წესით, ხოლო მოსამართლეს ევალება ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება. ამ შემთხვევაში მხარეები იღებენ სრულ პასუხისმგებლობას მტკიცებულებების წარმოდგენასა და სამართლებრივი საკითხების თაობის შესახებ დავაზე. როგორც აღინიშნა, მოსამართლე არის ნეიტრალური და არ გააჩნია მტკიცებულების მოძიების ან მოწმის დაკითხვის ინიცირების შესაძლებლობა მხარეთა შუამდგომლობის გარეშე.¹⁹ შესაბამისად დგინდება, რომ შეჭიბრებითი მოდელის განხორციელებისას პროცესს მართავენ მხარეები და არა მოსამართლე. მხარეები ამგვარი პროცესის მიმდინარეობისას რეალურად თუ არა, ფორმალურად მაინც წარმოადგენენ თანასწორ პირებს.²⁰

რაც შეეხება ინკვიზიციურ მოდელს, ამ შემთხვევაში სასამართლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მტკიცებულების მოძიების თვალსაზრისით; ამავდროულად სასამართლოა პასუხისმგებელი, განსაზღვროს რიგი პროცესუალური საკითხების გადაწყვეტის გზები და პრობლემათა გადაჭრის მეთოდები.²¹ ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით მაგალითს ფრანგული მოდელი წარმოადგენს. ტრადიციული ინკვიზიციური პროცესის ძირითადი მახასიათებლები შემდეგია: პროცესს, როგორც წესი, უძღვება ერთზე მეტი მოსამართლე; მოწმეთა დაკითხვას წარმართავს ერთ-ერთი მათგანი; მტკიცებულებათა გამოკვლევის რიგი-

14 Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 178.
15 Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 179.
16 Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 177.
17 Ipp D., 2000. Adversarial justice in transition, University of Western Australia Law Review, P. 287.
18 ჩაკვეტაძე გ., 2014. მოსამართლის როლი შეჭიბრებითობის პრინციპით აკრებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (დამოუკიდებელი არბიტრი თუ სამართლიანი მსაჯული), თბილისი, გვ. 32.

19 Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 179.
20 Corrado M., 2010. The Future of Adversarial Systems: An Introduction to the Papers from the First Conference, North Carolina Journal of International Law & Commercial Reg, p. 286.
21 Ogbuabor C., Inquisitorial and adversarial process in Nigerias's criminal justice system: The dilemma of a colonized state, University of Western Australia Law Review, p. 179.

თობას ასევე მოსამართლე განსაზღვრავს; მხარეებს გააჩნიათ მინიმალური როლი პროცესის მიმდინარეობისას; რიგ შემთხვევაში მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებენ იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც სასამართლო პროცესამდე შეგროვდა და არა მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელთა წარმოდგენაც პროცესზე განხორციელდა.²² ამგვარი რეგულირების პირობებში პროკურორს გააჩნია გამორჩეული როლი. მათთვის განკუთვნილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებიც კი დიდწილად მოსამართლის კურსების მსგავსია. მეტიც, ფრანგული სამართლის სისტემაში პროკურორებს უწოდებენ „მდგომიარე მოსამართლეებს“. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის პროცესში დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს პროცესში და იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება ბრალდებულის ბრალი, მოითხოვოს კომპენსაცია.²³

3. საქართველოში მოქმედი რეგულირება და რეკომენდაციები

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში მოქმედ რეგულირებას, ეს შეჭიბრებით პრინციპზე დაყრდნობით შეიქმნა. აღნიშნული დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა რჩება რიგი საკითხები, რომლებიც, შესაძლებელია, შეფასდეს, როგორც საკანონმდებლო ხარვეზი და აუცილებლად მიიჩნევა ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

- საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის 25-ე მუხლი ნათლად განსაზღვრავს

სასამართლო პროცესის შეჭიბრებითობას, მხარეთა თანასწორობას, რაც, თავის მხრივ, აყალიბებს მოსამართლის მოქმედების თავისუფლების ფარგლებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლი ადგენს, რომ სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. ამასთან, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოძიება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოძიება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

რამდენად სრულყოფილად შეიძლება შეფასდეს მითითებული ფორმულირება? როგორც ითქვა, მითითებული განსაზღვრება ნათლად აყალიბებს როგორც მხარეების, ასევე მოსამართლის სამართლებრივ მდგომარეობას. მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები შეზღუდულია – მას არ გააჩნია უფლება, დამატებით მოითხოვოს რომელიმე მტკიცებულების გამოკვლევა ან მოძიება. დაინტერესების შემთხვევაში აქვს მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვის დასმის შესაძლებლობა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულზე მხარეებმა თანხმობა განუცხადეს. ამავდროულად, კანონი ცალსახად არ განსაზღვრავს საკითხის გადაწყვეტის გზას იმ შემთხვევაში, თუ თანხმობას მხოლოდ ერთი მხარე აცხადებს, ხოლო მეორე წინააღმდეგია.

ერთი მხრივ, მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვის დასმის შესაძლებლობის არ-

22 Corrado M., 2009. The future of adversarial systems: An introduction to the papers from the first conference, North Carolina Journal of International Law & Commercial Reg, p. 287

23 Corrado M., 2009. The future of adversarial systems: An introduction to the papers from the first conference, North Carolina Journal of International Law & Commercial Reg, p. 288.

სებობა იმ პირობებში, როდესაც საუბარია სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე, რომელშიც მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ბრალდებულის ბედი, ზედმეტად შეზღუდულ ფუნქციად უნდა ჩაითვალოს. ამ პირობებში პროცესის ჩატარებამ, შესაძლებელია, რეალურად შეუშალოს ხელი საკითხების ობიექტურ, მრავალმხრივ, ეფექტიან და სწრაფ გამოკვლევას. მეტიც, მოსამართლე პრაქტიკულად მოკლებულია საკითხის შესახებ იმ რელევანტური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, რომელიც მას მისცემდა ფაქტობრივ გარემოებებში უკეთ გარკვევის საშუალებას, რომლებსაც განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს. შესაბამისად, თეორიულად დასაშვებია შემთხვევა, რომ მოსამართლეს ესაჭიროებოდეს კონკრეტული ინფორმაციის მიღება საკითხის მართებული გადაწყვეტის მიზნით, თუმცა არსებული რეგულირება მას ართმევს ამის შესაძლებლობას. ეს შეზღუდვა განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე არაკვალიფიციურობის ან სხვა მიზეზის გამო საკუთარ პოზიციას ჯეროვნად ვერ იცავს. მაგალითად, იმ პირობებში, თუკი ბრალდებულის ადვოკატი არაკომპეტენტურია და ამასთან მოსამართლეს არ აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოითხოვოს კონკრეტული, საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხის გარკვევა, ბრალდებული ცალსახად უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდება ძლიერი ბრალდების მხარის პირისპირ. რეალურად ნებისმიერ მოსამართლეს აქვს უამრავი ინფორმაცია იმ შეცდომების თაობაზე, რომელებიც მოსდით ცუდ იურიტებს. ხოლო მათ შეუძლიათ უდანაშაულო პირის უკეთესი დაცვა პროცესში უსამართლო მსჯავრდებისაგან, ვიდრე ნაკლებად დაინტერესებულ და დაბალი კვალიფიკაციის ადვოკატს.²⁴ ამის გათვალისწინებით, აუცილებლად მიიჩ-

ნევა, მოსამართლეს გააჩნდეს პროცესის განმავლობაში მონეტათვის მნიშვნელოვნად მიჩნეული კითხვების დასმის შესაძლებლობა.

- შეჯიბრებითი პროცესის პრინციპების თანახმად, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობა იზიარებს, გამომძიებელი და პროკურორი სასამართლოს ნებართვის გარეშე ვერ ჩაატარებენ ისეთ საგამომძიებო თუ პროცესუალურ მოქმედებებს, რომლებითაც შეიზღუდება ადამიანის უფლებები (ჩხრეკა, ამოღება და სხვ.). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი, მოქმედი რეგულირების შესაბამისად, მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს საკითხს. მოსამართლე უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. ამასთან, სისხლის სამართლის 112-ე მუხლის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოძიებას, როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, საგამომძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, რის შესახებაც

24 Pawlik M., 2009. Review essay –The criminal judge as modern inquisitor, German Law Journal, p. 1276.

მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ან გამოძიების ადგილის მიხედვით, პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება: ა) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ; ბ) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

ერთი შეხედვით, მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები ამ თვალსაზრისით ფართოა. მას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს მტკიცებულებათა დასაშვებობა, რომელთა საფუძველზეც მოუწევს საქმის განხილვა და, შესაბამისად, მათზე დაყრდნობით განაჩენის გამოტანა, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი მაინც შეზღუდულია: კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მითითებული მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობას მხოლოდ მოსამართლის ინიციატივით, საქმის ვითარებიდან გამომდინარე აუცილებლობის გამო იმ შემთხვევაში, თუ გამოკვეთილია ამ შუამდგომლობის საჭიროება საქმეზე ქვეყნარტების დადგენის მიზნით, მაგრამ მხარე არ ითხოვს აღნიშნულს.

- აღსანიშნავია შემდეგ გარემოებაც: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოწმეების გამოცხადება სასამართლოში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირის მოწმედ

დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია. მსგავსი შეზღუდვა აგრეთვე გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს შემდეგ გარემოებათა გამო: კონკრეტულ შემთხვევებში მოწმის ჩვენებას შესაძლებელია ჰქონდეს გადაწყვეტი მნიშვნელობა პროცესის საბოლოო შედეგის თვალსაზრისით; იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმის დაკითხვის განხორციელება მხოლოდ მხარის შუამდგომლობის არსებობის საკითხზე დამოკიდებული, არსებობს რისკი იმისა, რომ მოწმე, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს განსახილველი საკითხის ირგვლივ მნიშვნელოვან ინფორმაციას და რომლის ჩვენებასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროცესის შედეგებზე, არ დაიკითხოს. ამის გათვალისწინებით, მოსამართლეს უნდა გააჩნდეს საკუთარი ინიციატივით მოწმის დაკითხვის ჩატარების შესაძლებლობა, რაც მიიჩნევა პროცესის კარგი მენეჯმენტის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოსამართლისათვის ზემოთ მითითებული შესაძლებლობების მინიჭების შემთხვევაში მათ საკუთარი გაზრდილი უფლებამოსილების ფარგლებით უნდა ისარგებლონ იმგვარად, რომ თავი შეიკავონ გადაჭარბებული ჩარევისაგან და შეინარჩუნონ თავაზიანობის სტანდარტი.²⁵ აღნიშნული ცვლილებები, მოსამართლეთა გაზრდილი უფლებამოსილების ფარგლები, უნდა ემსახურობდეს სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფას და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა განხორციელდეს მოსამართლეთა მხრიდან მისი არაკეთილსინდისიერად გამოყენება. განსაკუთრებით უნდა გაეხსნას ხაზი იმ გარემოებასაც, რომ

25 Denyer L., 2010. The Changing Role of the Judge in the Criminal Process, International Journal of Evidence & Proof, p.99.

რეკომენდებული ცვლილებები, ბუნებრივია, არ მოიაზრებს შეჭიბრებითი ტიპის სისხლის სამართლის პროცესის უპირატესობის უარყოფას.

დასკვნა

ანალიზის შედეგად დგინდება, რომ განსახილველი საკითხის არსებული სამართლებრივი რეგულირება არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად. იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო გამოცდილება არის მრავალფეროვანი, ხოლო მიდგომები განსხვავებული, შესაძლებელია, ვერ მოხერხდეს ყველა საკითხზე შეჭერება, თუმცა შესაძლებელია საკითხის დაბალანსება, სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების გაფართოება, სამართლიანი სასამართლოს, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის განხორციელების მიზნით. ამ მიმართულებით კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები შემდეგი სახით შეიძლება განისაზღვროს:

- აუცილებელია, მოსამართლეს გააჩნდეს უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით მიიღოს განჩინება კონკრეტული საქმიდან

გამომდინარე, აუცილებლად მიჩნეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე.

- მიმდინარე რეგულირება, რომლის თანახმად, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოძიება და გამოკვლევა, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მოსამართლის მოქმედების ფარგლების გაუმართლებელი შეზღუდვა. მოსამართლეს, საქმეზე ობიექტური რეალობის დადგენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიეცეს მტკიცებულებათა მოძიებისა და გამოკვლევის შესაძლებლობა.
- მოსამართლეს პროცესის მიმდინარეობისას უნდა გააჩნდეს კითხვების დასმის შესაძლებლობა, რისთვისაც იგი არ უნდა საჭიროებდეს მხარეთა ნებართვას. ამავდროულად, მოსამართლეს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ დამაზუსტებელი, არამედ ნებისმიერი ხასიათის შეკითხვის დასმის შესაძლებლობა, რაც მიზნად უნდა ისახავდეს სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფას, მაქსიმალურად ობიექტური განაჩენის მიღების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი [https://matsne.gov.ge/ ka/document/view/90034](https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034)
2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf
3. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CCPR.aspx>
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. <http://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/>
5. ძირითად უფლებათა ევროკავშირის ქარტია http://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf

THE SCOPE OF THE AUTHORITY OF A JUDGE, AS A MEAN OF ENSURING THE RIGHT TO A FAIR TRIAL IN CRIMINAL PROCEEDINGS

Ana Gurieli

PhD Candidate; Faculty of law; Lawyer; Mediator

KEY WORDS: judge, function, Strengthening

RESUME

The analysis shows that the existing regulation of the issues discussed herein cannot be regarded as complete. Despite the fact that international experience varies and different approaches may not be all a matter of reconciliation, it is possible to expand the scope of the power of a judge, in order to protect the right to a fair trial, as one of the fundamental principle of law.

The amendments to the law can be defined as follows:

- In respective cases, judge should be authorized to make the decision on organizing certain investigational acts on his own initiative;
- The current regulation, according to which, the judge is prohibited to collect the evidence supporting the prosecution or defense, can be described as a rule, that causes unjustified restriction of his/her rule. The judge, in case of objective needs, should be given an opportunity to collect additional evidence, in order to achieve the fair process;
- The judge should also enjoy the right to question during the process without any permission of the parties. Furthermore, the judge should be authorized to ask not only direct but any type of question that will ensure a fair trial and a fair verdict.

NOTES:

1. Strang R., 2008, More Adversarial, but Not Completely Adversarial: Reformasi of the Indonesian Criminal Procedure, Code Nineteenth Annual Philip D. Reed Memorial Issue, p. 188. (In English)
2. Ipp D., 2000. Adversarial Justice in transition, University of Western Australia Law Review, p. 288. (In English)
3. Bassiouni M., 1997. Crimes and the Criminal Process, Arab Law Quarterly, p.271. (In English)
4. Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 175. (In English)
5. Laskin B., 1972.The Judge and Due Process, Manitoba Law Journal, p. 236. (In English)
6. Caenegem W., 2003. Adversarial Systems and Adversarial Mindsets: Do We Need Either, Bond Law Review, p. 114. (In English)
7. Ringold S., 1976. A Judge's Personal Perspective on Criminal Sentencing, Washington Law Review, p.631. (In English)
8. Caenegem W., 2003. Adversarial Systems and Adversarial Mindsets: Do We Need Either, Bond Law Review, p.112. (In English)
9. Roberts P., 1994. Science in the criminal process, Oxford Journal of Legal Studies , P. 471. (In English)
10. Roberts P., 1994. Cience in the criminal process, Oxford Journal of Legal Studies , P. 472. (In English)
11. Ipp D., 2000. Adversarial justice in transition, University of Western Australia Law Review, P.290. (In English)
12. Ipp D., 2000. Adversarial justice in transition, University of Western Australia Law Review, P. 289. (In English)
13. Kaufman F., 1981. A criminal process? Maryland Law Forum, P.16. (In English)
14. Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 178. (In English)
15. Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 179. (In English)
16. Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 177. (In English)
17. Ipp D., 2000. Adversarial justice in transition, University of Western Australia Law Review, p. 287. (In English)
18. Chakvetadze G., 2014. Judge's Role in the Georgian Adversarial Criminal Law Process(Independent Arbiter or Righteous Judge), Tbilisi, p. 32. (In Georgian)
19. Chukwunweike A., 2014. Inquisitorial and Adversarial Process in Nigeria's Criminal Justice System: The Dilemma of a Colonized State, University of Western Australia Law Review, p. 179. (In English)
20. Corrado M., 2010. The Future of Adversarial Systems: An Introduction to the Papers from the First Conference, North Carolina Journal of International Law & Commercial Reg, p. 286. (In English)
21. Ogbuabor C., Inquisitorial and adversarial process in Nigerias's criminal justice system:The dilemma of a colonized state, University of Western Australia Law Review, p. 179. (In English)
22. Corrado M., 2009. The future of adversarial systems: An introduction

- to the papers from the first conference, North Carolina Journal of International Law & Commercial Reg, p. 287. (In English)
23. Corrado M., 2009. The future of adversarial systems: An introduction to the papers from the first conference, North Carolina Journal of International Law & Commercial Reg, p. 288. (In English)
 24. Pawlik M., 2009. Review essay –The criminal judge as modern inquisitor, German Law Journal, p. 1276. (In English)
 25. Denyer L., 2010. The Changing Role of the Judge in the Criminal Process, International Journal of Evidence & Proof, p.99. (In English)

BIBLIOGRAPHY:

1. The criminal procedure code of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>. (In Georgian)
2. European Convention on Human Rights. http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf. (In English)
3. The International Covenant on Civil and Political Rights. <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CCPR.aspx>. (In English)
4. Universal Declaration of Human Rights. <http://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/> (In English)
5. EU Charter of Fundamental Rights. http://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf. (In English)

აჭარის ავტონომიის სამართლებრივი სტატუსი

(საქართველოს შემადგენლობაში აჭარის
ავტონომიური მართვის იდეის გაჩენიდან
აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციამდე)

მურმან გორგოშაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

საკვანძო სიტყვები: თვითმმართველობა, სუვერენიტეტი,
იდენტობა

ავტონომიის სამართლებრივი სტატუსი გულისხმობს იმ უფლება-მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც გააჩნია ავტონომიურ ერთეულს მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით. თანამედროვე სამართალში არ არსებობს ავტონომიის შინაარსის განმსაზღვრელი რაიმე საერთაშორისო სამართლებრივი მასშტაბი. ავტონომიის კონკრეტული შინაარსი მუდამ განისაზღვრება კონკრეტული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლებრივი აქტით¹. ჩვენი მიზანია, ცნება „ავტონომიის“ სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, გავარკვიოთ, რა კონკრეტული უფლება-მოვალეობებით იყო დატვირთული აჭარის ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში აჭარის ავტონომიური მართვის იდეის გაჩენიდან (1917 წ.) აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციამდე (1937 წ.).

1917 წლის ოქტომბერში, რუსეთის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ამიერკავკასიის ფრონტი დაიშალა, რუსეთის ჯარმა დატოვა საქართველო, ამიერკავკასიის სეიმმა და კომისარიატმა ვერ შეძლეს ოსმალთა ჯარის

1 სუბუა გ., 2000. ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი. თბილისი. გვ. 97.

შეჩერება. ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა აჭარის საკითხი, რომელზეც პრეტენზიას ბევრი ქვეყანა აცხადებდა. ცნობილია, რომ აჭარას 1917-1921 წლებში ავტონომიურ მმართველობას სთავაზობდნენ ოსმალეთი², აზერბაიჯანი³, სომხეთი⁴ და სამხრეთ რუსეთის მთავრობა (დენიკინი). უფრო მეტიც, 1920 წელს დიდ ბრიტანეთში შეიმუშავეს ბათუმის სახით პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გეგმაც⁵. ასეთ პირობებში მემედ აბაშიძემ წამოაყენა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აჭარის რეგიონის ავტონომიური მართვის იდეა, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის „ყველაზე უფრო პასუხისმგებელი პირების“ (ჰაიდარ აბაშიძე) მიერ გაზიარებული და გამართლებული იქნა.

1917 წელს აჭარის ავტონომიის იდეა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამუსლიმანო საქართველოს სექციაზე მემედ

აბაშიძემ⁶ ოფიციალურად გააჟღერა. იგი სამუსლიმანო საქართველოს თვითმმართველობის სამართლებრივ სტატუსს კანტონალური მოწყობის იდეით გამოხატავდა. სამუსლიმანო საქართველოს კანტონალური მართვის იდეა არ იქნა გაზიარებული ქართველი პოლიტიკური ელიტის მიერ, თუმცა აჭარის ავტონომიის იდეას ძირითადად მხარი დაუჭირეს და 1917 წელს საჯაროდ გაცხადდა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის სტატუსი. გაზეთი „საქართველო“ აღნიშნავდა: „სამაჰმადიანო საქართველოს თვითმმართველობა ანუ ავტონომია იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა იქნება საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონი, შინაური საქმეების გამგებელი, ხოლო თვითმმართველობის გული და გამგებელი იქნება ბათუმი“⁷. ეს ცნობა შეიცავს მინიშნებებს აჭარის ავტონომიის სამართლებრივ სტატუსზე, კერძოდ, რომ ავტონომია ეხებოდა შინაურ საქმეებს და მისი დედაქალაქი იქნებოდა ბათუმი.

1919 წლის 31 აგვისტოს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ინიციატივით ბათუმში, რომელიც ჯერ კიდევ ინგლისელების კონტროლქვეშ იყო, გაიმართა ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც ბათუმის ოლქის ყველა რაიონს წარმოადგენდა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმისა და ბათუმის ოლქის თავის ბუნებრივ სამშობლოსთან, საქართველოს რესპუბლიკასთან, ფართო ავტონომიის საფუძველზე შეერთების შესახებ⁸. ყრილობის ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის საფუძველზე აჭარის გაერთიანების სამართლებრივ საფუძველს. ყრილობის ამ გადაწყვეტილებით⁹ აჭარის

2 ოსმალეთის საგარეო საქმეთა სპეციალური კანცლერის დადგენილებაში ვკითხულობთ: „აჭარის მიერ ავტონომიის მოპოვება ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის ფარგლებში შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესებს და ეს საკითხი არსებითად იმსახურებს ღრმა, ფართო და ყოველმხრივ განხილვას“, – იხ., ნ ზოსიძე ნ., 1995. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში. ბათუმი. გვ. 100.

3 აზერბაიჯანის აგენტურამ ფართოდ გააჩაღა ანტიქართული პროპაგანდა, მათ წამოაყენეს „ისლამური რესპუბლიკისა“ და „დამოუკიდებელი აჭარისტანის რესპუბლიკის“ შექმნის იდეა, – იხ., ზოსიძე ნ., 1995. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში. ბათუმი. გვ. 102-103.

4 სომხეთი ახალქალაქ-ბათუმის დაპყრობით შავ ზღვაზე გასვლას ესწრაფვოდა – იხ., სურგულაძეა., 1994. ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა. ბათუმი. გვ. 57; 1920 წლის თებერვალში ლონდონის კონფერენციაზე დაისვა საკითხი სომხეთის ბათუმის ნავსადგურთან საკუთარი (სომხური) რკინიგზით დაკავშირების შესახებ. სომხეთის რესპუბლიკის საზო დელეგაცია ამ კონფერენციაზე მოითხოვდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მათთვის გადაცემას მდინარე ჭოროხის გასწვრივ – ზღვასთან შესართავამდე – იხ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა. 2008. ტ. III. ბათუმი. გვ. 482.

5 თურმანიძე ო., 2012. აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940). ბათუმი. გვ. 80-82.

6 მემედ აბაშიძე 1917 წლიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრია, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პარლამენტის წევრი, იხ., შარაძე გ., 1995. მემედ აბაშიძე. თბილისი-ბათუმი. გვ. 126.

7 გაზეთი „საქართველო“ 1917 წლის 23 დეკემბერი.

8 ოქროპირიძე უ., 2001. აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან. ბათუმი. გვ. 81.

9 ყრილობას ესწრებოდა 96 დელეგატი, ამ ისტორიულ

ავტონომიის სამართლებრივ სტატუსად ფართო ავტონომია დასახელდა¹⁰. ამავ ენაზე გამოქვეყნებულ სამუსლიმანო საქართველოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში – „პროგრამასა და ინსტრუქციაში“¹¹, მოცემულია აჭარის ავტონომიური მმართველობის სტრუქტურა და მათი უფლებამოსილებანი. ამ დოკუმენტის მიხედვით, ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს ეყოლებოდა თავისი მთავრობა და დამოუკიდებელი საკანონმდებლო ორგანო. მთავრობა დამოუკიდებლად განაგებდა სარწმუნოების, სასამართლოს, ადმინისტრირების, სწავლა-განათლების, ეკონომიკის საქმეებს, ხოლო საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრულ პირობებში წარმართავდა სამხედრო, საფინანსო, საგარეო, ფოსტატელეგრაფის, სარკინიგზო, საბაჟო და სხვა საქმეებს.¹²

როგორც ჩანს, ამ დოკუმენტში მოცემული იდეები წარმოადგენს იმ „ფართო ავტონომიის“ ცნების შინაარსს, რომელიც 1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში იქნა გამოყენებული. გულისხმობდა თუ არა „ფართო ავტონომია“ პოლიტიკური ავტონომიის სამართლებრივ სტატუსს, ამის ცალსახად თქმა ძნელია. ფაქტი ერთია, რომ ნოე უორდანიას მიერ

ზემო აჭარის მოსახლეობისადმი გაგზავნილ წერილში წერია, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს მართვა-გამგეობა დაემყარება ადგილობრივი ხალხის – ქართველი მუსლიმანების თვითმმართველობას (ავტონომია). საზოგადო და საერთაშორისო საქმეებს გაუძღვება რესპუბლიკის ცენტრალური დაწესებულებები, ხოლო შინაურ საქმეებს- ადგილობრივი ხალხის მიერ არჩეული დაწესებულებანი. უკანასკნელნი განაგებენ სარწმუნოების ყველა საკითხს შარიათის მიხედვით, ადგილობრივ ადმინისტრაციას, სასამართლოს, მიწის საქმეს და სხვა¹³. 1921 წლის იანვარში გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ გამოქვეყნდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ერთობლივად შემუშავებული დოკუმენტი ბათუმისა და ბათუმის ოლქის ავტონომიის ფორმის შესახებ, რომლის მე-5 მუხლით აჭარის საკანონმდებლო ორგანოდ ცხადდებოდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე არჩეული მეჭლისი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა რომ აჭარისათვის ადმინისტრაციული ავტონომიის მიცემას გეგმავდა, დაფიქსირდა კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომლის 107-ე მუხლი საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილებისთვის – აფხაზეთისთვის, სამუსლიმანო საქართველოსა და ზაქათალას ოლქისთვის ადგენს ადგილობრივ ავტონომიურ მმართველობას¹⁴. მართალია, ამ ჩანაწერის მიხედვით ძნელია ილაპარაკო ავტონომიური მმართველობის სამართ-

გადაწყვეტილებას შემდეგ აბაშიძესთან ერთად ხელს აწერს 56 კაცი. იხ., ჯაფარიძე შ., 1994. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის (1918-1921 წ.წ.). ბათუმი. გვ. 92.

10 1920 წლის 1 მარტის ბათუმის მმართველობის არჩევნებზე აჩვენა იმ პერიოდის ბათუმელების და, შესაბამისად, აჭარის ქართველებისა და საქართველოსადმი დამოკიდებულება. ამ არჩევნებში 36 ადგილიდან 20 ქართველებმა აიღეს, - იხ., ცუხიშვილი რ., 1996. ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921წ.წ.). თბილისი. გვ. 59.

11 ამ დოკუმენტის სრული სახელწოდებაა „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“, რომელიც შედგება 3 თავისა და 79 მუხლისაგან (პროგრამა - 36 მუხლი, ინსტრუქცია - 43 მუხლი), - იხ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა. 2008. ტ. III. ბათუმი. გვ. 489.

12 ოქროპირიძე უ., 2011. აჭარის ავტონომიის შექმნა. თბილისი. გვ. 130.

13 ნოე უორდანიას წერილის ფრაგმენტი ციტირებულია წიგნიდან - ჯაფარიძე შ., 1994. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის (1918-1921 წ.წ.). ბათუმი. გვ. 93.

14 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მ. 107.

ლებრივი სტატუსის როგორცაა, მით უფრო, რომ ამავე კონსტიტუციის 108-ე მუხლი ავტონომიურ მმართველობათა დებულებების შემუშავებას ცალკე კანონით ითხოვს¹⁵. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს პარლამენტმა 1919 წლის 19 დეკემბერს სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია მიანიჭა, მაგრამ დადგენილებაში ლაპარაკი არ არის პოლიტიკურ ავტონომიაზე¹⁶, ცხადია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია ადმინისტრაციული ავტონომიის სასარგებლოდ იხრება და არა პოლიტიკური ავტონომიის.

1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოებისა და მისი ანექსიის შემდეგ აჭარის ავტონომიის შექმნისა და სამართლებრივი სტატუსის საკითხი ბოლშევიკური რუსეთის ხელში აღმოჩნდა. 1921 წლის 16 მარტის საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით, თურქეთი საბჭოთა რუსეთთან გარკვეული გარიგების^{17*} სანაცვლოდ დათმობდა აჭარას იმ პირობით, თუ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებდა ფართო ადგილობრივი ავტონომიით¹⁸. მოსკოვის ხელშეკრულების მე-15 მუხლით საბჭოთა რუსეთი ვალდებულია იღებდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები მოსკოვის ხელშეკრულების პირობებს აღიარებდნენ. სწორედ ამ მე-15 მუხლის სისრულეში მოყვანას მიეძღვნა ამავე წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება, რომლითაც თურქეთის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის დელეგაციებმა ხელი მოაწერეს მეგობრობის ხელშეკ-

რულებას, რომელიც ძირითადად მოსკოვიური დოკუმენტის იდენტური იყო.

ერთი სიტყვით, რუსეთი თანახმა იყო, აჭარას მისცემოდა პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი, რასაც საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის მოწინააღმდეგეები გამოუჩინდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტები“. მათი აზრით, აჭარას ავტონომიის სტატუსი არ უნდა მიანიჭებოდა. თუ მიენიჭებოდა, იმ პირობით, რომ ავტონომია მხოლოდ სოფლის მოსახლეობას ექნებოდა და აჭარის ავტონომიას ჩამოსცილდებოდა ბათუმი, ხოლო ავტონომიის ცენტრად გამოცხადდებოდა ქედა ან ჩაქვი.

1921 წლის 6 ივნისს აჭარის მეჭლისი საქართველოს რევკომისადმი მისასალმებელ წერილს გზავნის, რომელშიც გამოთქვამს იმედს, რომ ცხოვრებაში განხორციელდება აჭარის მოსახლეობის ნება-სურვილი – მართოს მხარე ფართო ავტონომიის საფუძველზე¹⁹. ამ წერილიდან ჩანს, რომ ავტონომიის იდეა ჯერჯერობით მხოლოდ იდეაა.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი აჭარის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ამ დეკრეტის მიხედვით აჭარის ავტონომიის სტატუსი განისაზღვრა, როგორც პოლიტიკური ავტონომიის უმაღლესი საფეხური რესპუბლიკის სახით, რომლის მართვის ორგანოებს წარმოადგენდნენ მეჭლისი – უმაღლესი ორგანო, სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები, რომელთა არჩევაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე წარიმართებოდა. ამავე დეკრეტით უნდა შექმნილიყო 8 სახალხო კომისარიატი და სახალხო მეურნეობის საბჭო. სახალხო კომისარიატებს წარმოადგენდა შემდეგი განყოფილებები: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, მიწათმოქმედების, სასურსათო და ფინან-

15 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მ. 108.

16 თურმანიძე ო., 2012. აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940). ბათუმი. გვ. 85.

17 *ამ გარიგების მიხედვით საბჭოთა რუსეთი თანხმდებოდა, არ ეცნო არც ერთი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც თურქეთს ეხებოდა, მაგრამ არ იყო აღიარებული თურქეთის ეროვნული მთავრობის მიერ და ამავე დროს თურქეთს რჩებოდა ყარსი, ართვინი და არტაანი.

18 ოქროპირიძე უ., 2001. აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან. ბათუმი. გვ. 114-115.

19 თურმანიძე ო., 2012. აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940). ბათუმი. გვ. 88.

სების. სახალხო მეურნეობის საბჭო წარმოდგენილი იყო ოთხი განყოფილებით, კერძოდ: საგზაო, ფოსტა-ტელეგრაფის, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისით ავტონომიური უფლებამოსილება მიენიჭა იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს. დანარჩენი სახალხო კომისარიატები და სახალხო მეურნეობის საბჭო ოთხივე განყოფილებით ერთიანი პოლიტიკის შენარჩუნებისთვის დაეკავშირებებარა საქართველოს სსრ შესაბამის დაწესებულებებს. ამ დეკრეტით იზღუდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება მთელ რიგ სფეროებში. კერძოდ, უმთავრესი ეკონომიკური საქმეების მართვა, კონტრეგოლაციასთან ბრძოლა, საგარეო, სამხედრო, საზღვაო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის საკითხები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა იყო. ამას იმასაც თუ დავამატებთ, რომ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და დაწესებულებები საქართველოს ცენტრალურ უწყებებს დაეკავშირებებარა, ნათელი გახდება, რომ დეკლარირებული პოლიტიკური ავტონომიისაგან შორს იდგა რეალური ავტონომია, რის გამოც 1922 წელს აჭარის ღარიბთა კომიტეტის ცენტრალურმა ბიურომ განიხილა აჭარის ავტონომიის უფლებამოსილების საკითხი და აჭარიდან საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე წარგზავნილ დელეგატებს დაავალა – ყრილობას ოფიციალურად დაედასტურებინა აჭარის ავტონომია და განესაზღვრა ავტონომიის უფლებები და დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასთან.

ცხადი გახდა, რომ აჭარის ავტონომიის სამართლებრივი სტატუსი კონსტიტუციაში უნდა დაფიქსირებულიყო. ყრილობების დადგენილებები და პარტიული დეკრეტები არ იყო საკმარისი ამ საკითხის მოსაწესრიგებლად. საქართველოს 1922

წლის კონსტიტუციის პირველი თავის პირველი მუხლის შენიშვნაში კი იყო დაფიქსირებული, რომ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებული განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე²⁰, მაგრამ ამ ჩანაწერში ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი არ ჩანს.

სწორედ ამიტომ 1925 წელს აჭარის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესამუშავებლად სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ იურისტ ხასან ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის მიერ შემუშავებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტზე ქვემოთ ვილაპარაკებთ. მანამდე 1927 წლის საქართველოს სსრ მეორე კონსტიტუციაში გაიწერა ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი. ამ კონსტიტუციის მეოთხე თავი ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს ეხება. ამ კონსტიტუციით ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას იღებს რეგიონის საბჭოების ყრილობა, რომელიც ძალაში შედის სრულიად საქართველოს ცაკისა და საბჭოების ყრილობის საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ (მ.75). აჭარის უმაღლეს ორგანოებად გამოცხადდა საბჭოების ყრილობა, ყრილობებს შორის პერიოდში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი), ხოლო ცაკის სესიებს შორის პერიოდში ცაკის შემადგენლობიდან არჩეული ცაკის პრეზიდიუმი (მ. 76-77). მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კომისარიატთა

20 საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978).1983. თბილისი. გვ.73.

საბჭო (მ. 78), რომელიც აერთიანებდა შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, მიწათმოქმედების, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებს და ფინანსთა, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის საქართველოს სახალხო კომისარიატების რწმუნებულებს, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების სათანადო სახალხო კომისარიატების ორგანოებს წარმოადგენდნენ ავტონომიურ რესპუბლიკებში და ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, თუმცა ანგარიშვალდებულნი იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკის ცაკისა და სახკომსაბჭოს წინაშეც. კონსტიტუციის 81-ე მუხლის მიხედვით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო კონსტიტუციის 82-ე მუხლი ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აძლევს საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლებას იმ დარგში, რომელსაც ავტონომიურად განაგებენ და საქართველოს იმ კანონმდებლობის განსავითარებლად, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის მიერ მიღებული დეკრეტით გათვალისწინებული უფლებამოსილებებიდან 1927 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიხედვით აჭარას აღარ ჰყავდა ფინანსებისა და სურსათის სახალხო კომისარიატები.

ახლა რაც შეეხება ზემოთ დაპირებულ 1925 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესამუშავებლად შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებულ აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტს. 1929 წელს აღნიშნულმა კომისიამ აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი გადასცა განსახილველად აჭარის საბჭოების მერვე ყრილობას,

რომელმაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნით კონსტიტუციის პროექტი მოხსნა დღის წესრიგიდან²¹. ამის მიზეზი კი, როგორც ჩანს, ის რამდენიმე მუხლი იყო, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას. კერძოდ:

- ა. კონსტიტუციის პროექტის მე-8 მუხლის მიხედვით, საკითხები, რომლებიც შედიოდა აჭარის სახკომსაბჭოს კომპეტენციაში, უნდა გადაწყვეტილიყო ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით;
- ბ. ამ პროექტით აჭარის ასსრ შესაბამის ორგანოებს ენიჭებოდათ უფლება, შეეჩერებინათ ან შეეცვალოთ საქართველოს სსრ კანონები, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდა აჭარის ასსრ კანონმდებლობას;
- გ. კონსტიტუციის პროექტის მე-9 მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს სსრ საერთო კომისარიატების ნორმატიული აქტები და სხვა კანონები არ იყო აჭარის ადგილობრივი პირობების შესაბამისი, ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს უფლება ეძლეოდათ, გაესაჩივრებინათ ისინი ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უწყებებში;
- დ. კონსტიტუციის პროექტის მე-10 მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შეუსაბამობისას უპირატესობა ენიჭებოდა აჭარის კანონმდებლობას;
- ე. კონსტიტუციის პროექტის მე-11 მუხლის მიხედვით, კონსტიტუციურ და ეროვნულ საკითხებზე უთანხმოების შემთხვევაში დავას იხილავდნენ და საბოლოოდ წყვეტდნენ ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები²².

21 თურმანიძე ო., 2012. აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940). ბათუმი. გვ. 100.

22 აცსა (აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი)

ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ამ პროექტით აჭარაში ავტონომიის სამართლებრივი სტატუსი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პოლიტიკური ავტონომია, რომელიც საქართველოს სსრ-თან ერთად ინაწილებდა სახელმწიფო სუვერენიტეტს.

აჭარის კონსტიტუციის ეს პროექტი აჩვენებს აგრეთვე აჭარის ასსრ ხელმძღვანელებსა და საქართველოს სსრ ხელმძღვანელებს შორის დაპირისპირებას აჭარის ასსრ სამართლებრივი სტატუსის გამო.

1937 წელს მიიღეს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომელიც სრულად შეესაბამებოდა საქართველოს სსრ კონსტიტუციას.

როგორც ვხედავთ, 1917-1937 წწ. აჭარის ავტონომიის სამართლებრივი სტატუსი რეგულირდებოდა როგორც სახალხო ყრილობებისა და პარტიული გადაწყვეტილებებით, ისე სამართლებრივი აქტებით. აჭარის ავტონომიაზე მინიჭებული ფართო თვითმმართველობის მიუხედავად, მას არ ჰქონია სახელმწიფოებრიობის არც ერთი ძირითადი ნიშანი: არ ჰქონდა არც სახელისუფლებო და არც ე.წ. „ორმაგი სუვერენიტეტი“, არ ჰქონდა საერთაშორისო

სამართალსუბიექტურობა, არ ჰქონდა საკუთარი ერთადერთი მოქალაქეობა.

აჭარის ავტონომია სამართლებრივ ქრილში აკმაყოფილებდა ავტონომიის ცნების მაგულისხმებელ ძირითად ნიშნებს – ნაწილობრივ დამოუკიდებელი იყო ცენტრალური მთავრობის გავლენისაგან და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებდა თავის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს. მისი სუბიექტი იყო უმცირესობის კოლექტიური უფლებების დაცვა. იგი ასრულებდა რელიგიური უმცირესობების სამართლებრივი დაცვის ფუნქციას.

აჭარის ავტონომიის შინაარსი, სამართლებრივი თვალსაზრისით (ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა აჭარის ავტონომიის პოლიტიკური თვალსაზრისით შეფასება), შეესაბამებოდა საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის ლეგიტიმურ ინტერესს იმდენად, რამდენადაც იგი უზრუნველყოფილი იყო საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში. აჭარის ავტონომია აკმაყოფილებდა აგრეთვე ავტონომიის სამართლებრივი შინაარსის არსებით მხარეს – მის წევრებს სურდათ თავიანთი რელიგიური განსაკუთრებულობისა და ინდივიდუალობის შენარჩუნება, თავიანთი რელიგიური იდენტობის დაცვა.

ფ.რ-2, ან.1, ს. 542, ფურც.62.

LEGAL STATUS OF AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

(Since the introduction of idea of autonomous government of Adjara within Georgia till the first Constitution of Adjarian Autonomous Soviet Socialist Republic)

Murman Gorgoshadze

PhD, Shota Rustaveli State University

KEY WORDS: self-government, sovereignty, identity

RESUME

Since the introduction of idea of autonomous government of Adjara within Georgia (1917) till the first Constitution of Adjarian Autonomous Soviet Socialist Republic (1937), legal status of Adjara had been regulated by people's assemblies and Party resolutions, as well as by several illegal acts.

During this period Adjarian Autonomy had neither governmental nor so-called "dual" sovereignty, had no international legal subjectivity and no own citizenship.

From the legal point of view, during 1917-1937 years, the main subject of Adjarian Autonomy was meeting legitimate interests of state sovereignty protection. Within the Georgian state borders, partially independent from the central government, under own responsibility, the Autonomy was addressing issues within requisite authority. The goal was protection of collective rights of minorities that mainly was expressed in preserving individuality, religious identity and personality.

NOTES:

1. Khubua G., 2000. Federalism as a normative principle and political order, Tbilisi, P. 97. (In Georgian)
2. Ottoman Foreign Affairs Special Chancellor's Resolution- quotation: "Obtaining the Autonomy by Ajara in frames of Ottoman political influence meets the interests of the state. The issue deserves essential, deep and comprehensive consideration", - see. Zosidze N., 1995. Political situation and National Liberation Movement in Ajara in 1918-1920 yy., Batumi, P. 100. (In Georgian)
3. Azerbaijan Secret Service unleashed anti-Georgian propaganda, they advanced "Islamic Republic" and "Independent Ajaristan Republic" ideas - see. Zosidze N., 1995. Political situation and National Liberation Movement in Ajara in 1918-1920 yy., Batumi, P. 102-103. (In Georgian)
4. Armenia was striving to get the access to the Black Sea by conquering Akhalkalaki and Batumi - see., Surguladze A., 1994. Life and contributions of Haidar Abashidze, Batumi, P. 57 (In Georgian); In February 1920, at London conference there was considered an issue on "Batumi port-Republic of Armenia Railway connection", meaning its own (Armenian) railway communication, where Armenian Truce delegation demanded territorial transfer of the historic South of Georgia along the river Chorokhitill the confluence with the sea - see., South-West Georgia history essays, Ajara, Vol. III, Batumi, 2008. P. 482. (In Georgian)
5. Turmanidze O., 2012. Political and economic history of Ajara (1921-1940), Batumi, P. 80-82. (In Georgian)
6. Since 1917 Memed Abashidze was a member of National Council of Georgia, further after declaration of independence of Georgia, he became a member of Georgian Parliament, see., Sharadze G., 1995. Memed Abashidze, Tbilisi-Batumi, P. 126. (In Georgian)
7. Newspaper "Georgia" 23rd of December 1917. (In Georgian)
8. Oqropiridze U., 2001. From the history of Establishment of Autonomous Republic of Adjara, Batumi, P. 81. (In Georgian)
9. The congress was attended by 96 delegates, this historic resolution along with Memed Abashidze was signed by 56 men. See., Japaridze S., 1994. The fight for the restoration of State Independence (1918-1921), Batumi, P. 92. (In Georgian)
10. Batumi government elections, that took place on March 1, 1920, showed the attitude of Batumi citizens, respectively Adjarians to Georgia and Georgians. As a result of these elections, 20 from 36 existing seats took Georgians, - see. Tsukhishvili R., 1996. Territorial issues in England-Georgia relations (1918-1921 yy.), Tbilisi., P. 59. (In Georgian)
11. The full title of this document is "The program and instructions of the Muslim Georgia Liberation Committee", that consists of 3 chapters and 79 articles (program – 36 articles, Instruction – 43 articles), - see., South-West Georgia history essays, Ajara, Vol. III, Batumi, 2008. P. 489. (In Georgian)
12. Oqropiridze U., 2011. Establishment of Ajarian Autonomy, Tbilisi, P. 130 (In Georgian)
13. Extract of Noe Jordania's letter quoted from the book - Japaridze S., 1994. The fight for the restoration of State Independence (1918-1921), Batumi, P. 93. (In Georgian)

14. Constitution of Democratic Republic of Georgia from 21st of February 1921, artl. 107. (In Georgian)
15. Constitution of Democratic Republic of Georgia from 21st of February 1921, artl. 108. (In Georgian)
16. Turmanidze O., 2012. Political and economic history of Ajara (1921-1940), Batumi, P. 85. (In Georgian)
17. Oqropiridze U., 2001. From the history of establishment of Ajarian Autonomy, Batumi, P. 114-115. (In Georgian);
18. Turmanidze O., 2012. Political and economic history of Ajara (1921-1940), Batumi, P. 88. (In Georgian);
19. Constitutional acts of the Georgian SSR (1921-1978), Tbilisi, 1983. P 73. (In Georgian)
20. Turmanidze O., 2012. Political and economic history of Ajara (1921-1940), Batumi, P. 100. (In Georgian)
21. ACSA (Ajara Central State Archive) qty. of pp-2, or 1, s. 542, p.62. (In Georgian)

საკონსტიტუციო ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები

ნაირა ავალიანი

*დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტი;
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი
საქართველოს პარლამენტი*

საკვანძო სიტყვები: რეფორმები, სუპერ-საპრეზიდენტო
სისტემა, კონფლიქტები

შესავალი

საქართველოში xx საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული გააქტიურდა სწრაფვა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ეს ძირითადად გამოიხატებოდა არასასურველი რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობაში და არ არსებობდა კონკრეტული პოლიტიკური სისტემის კონცეფცია. სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური ძალები მოითხოვდნენ ძველი, არასასურველი რეჟიმის დანგრევას, განსხვავებით პირველი რესპუბლიკის პერიოდისა, როდესაც პირველად საქართველოს ისტორიაში უარი ეთქვა მონარქიულ წყობილებას და ქვეყანა გადავიდა რესპუბლიკურ¹ წყობილებაზე, რამაც თავისი იურიდიული გამოხატულება ჰპოვა ჯერ დამოუკიდებლობის აქტში და მოგვიანებით პირველ კონსტიტუციაში². სახელმწიფო მმართველობის ეფექტური ფორმის ძიება იყო პირველი კონსტიტუციის ავტორებისა

1 საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, თბილისი.1920 წ; გვ.4-6; www.archives.gov.ge/ge/First_Republic_of_Georgia
2 საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიღებული 1921 წელს; www.matse.gov.ge

და პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. დასავლური ტიპის მმართველობის მოდელებმა, კერძოდ, შვეიცარიის³, დიდი გავლენა იქონია პირველი კონსტიტუციის ტექსტის ჩამოყალიბებაზე. თუ პროფესორ ბორის შაცკის დავესხებით: „საქართველოს კონსტიტუციის პროექტი იზიარებს მონტესკიეს და რუსოს თეორიას, რომელშიც წარმომადგენლობით მმართველობასთან ერთად მიღებულია უშუალოდ სახალხო მმართველობის პრინციპები“. მმართველობის ფორმაში იგულისხმება შემდეგი:

1. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ჩამოყალიბების წესი, მათი ფუნქციების ბალანსი და ურთიერთმმართვება;
2. ხელისუფლების ფორმირებასა და განხორციელების პროცესში ხალხის ჩართვა;

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯერ მეფის რუსეთის და შემდგომ საბჭოთა ოკუპაციის 200-წლიანმა უღმობელმა რეჟიმმა გაანადგურა სამოქალაქო ცნობიერება და არ არსებობდა რაიმე კონკრეტული პოლიტიკური სისტემის მოთხოვნის მონახაზიც კი ფართო საზოგადოებაში.

1. 2004 წლის 4 თებერვლის საკონსტიტუციო სვლილებები

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ სახით მოსულმა მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ შეიმუშავა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი⁴ და ფორმალური და ნაჩქარევი განხილვის შედეგად 2004 წლის 6 თებერვალს ის პარლამენტმა დაამტკიცა. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებდა საქარ-

თველოში სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის შეცვლას და ერთპიროვნული საპრეზიდენტო მმართველობის დამყარებას. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პრეზიდენტის უფლებამოსილება, დასუსტდა პარლამენტის როლი და უფლებამოსილება. ეს ცვლილებები განხორციელდა ვენეციის კომისიის⁵ რეკომენდაციების უგულებელყოფით. ამ ცვლილებებით დაირღვა პრეზიდენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობის ბალანსი, არ გაიმიჯნა მათი უფლებამოსილებანი⁶ და უხეშად დაირღვა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რაშიც მდგომარეობს კონსტიტუციონალიზმის მთავარი იდეა.

„ხელისუფლების დანაწილებისა და მოწყობის სხვადასხვა გზა არსებობს. საკითხის ნებისმიერ გადაწყვეტას აქვს არსებობის უფლება, თუ თავისუფლების შეზღუდვის საშუალებები გამორიცხული ან თავიდან აცილებულია“⁷.

შედეგად, მივიღეთ პრეზიდენტი, რომლის უფლებამოსილება გამოიხატებოდა შემდეგში:

- პრემიერ-მინისტრის დანიშვნა პარლამენტის ფორმალური ჩარევით;
- პრემიერ-მინისტრთან მინისტრობის კანდიდატის დანიშვნა-გათავისუფლების შეთანხმება;
- მთავრობის სხდომის მოწვევა და მისი თავმჯდომარეობა;
- მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტების შეჩერება და გაუქმება, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს;

3 ქანთარია ბ., 2011. მმართველობის ფორმის დასავლური სისტემები და მათი გავლენა საქართველოს პირველ კონსტიტუციაზე, თბილისი გვ. 4.

4 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

5 [www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=SDL-AD\(2010\)021-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=SDL-AD(2010)021-e)

6 კონსტიტუციური სისტემები და კონსტიტუციური პროცესი საქართველოში (1995-2009 წ.) და მისი განვითარების პერსპექტივები, 2009. თბილისი გვ. 9-10.

7 შაიო ა., 2003. ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი. აირის საქართველო, თბილისი, „სეზანი“, გვ. 92.

- საკუთარი ინიციატივით შინაგან საქმეთა, თავდაცვის და იუსტიციის მინისტრების დანიშვნა;
- დეკრეტით სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, თუ პარლამენტი დადგენილ ვადაში არ დაამტკიცებდა მას(ეს იყო პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილების გადაცემა პრეზიდენტისთვის. ასევე, საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემა (თუ პარლამენტი დათხოვნილი იყო).
- საკანონმდებლო ინიციატივის და ვეტოს ერთდროული უფლება, რაც აძლიერებდა პრეზიდენტის მიერ პარლამენტზე ზემოქმედების ბერკეტებს და აკნინებდა პარლამენტის უფლებამოსილებას საკანონმდებლო სფეროში.
- პარლამენტის დათხოვნა, კერძოდ, თუ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ ახალ მთავრობას, პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და დაითხოვს პარლამენტს, ხოლო, თუ ამ დროს მას არ აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, შექმნის მთავრობას და დათხოვნის აკრძალვის ვადაში ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში პარლამენტს ხელახლა წარუდგენს მთავრობას ნდობის მისაღებად და თუ ნდობა ვერ მიიღო, დაითხოვს პარლამენტს;
- პარლამენტის როლი კიდევ უფრო დაასუსტა კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-8 პუნქტის ამოქმედებამ, რომლის თანახმად:
„კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კა-

ნონპროექტები – მთავრობის მიერ პარლამენტთან შეთანხმებული ძირითადი პარამეტრების ფარგლებში“.

რთულად თუ მოიძებნება კანონპროექტი, რომელიც არ გამოიწვევს ხარჯების ზრდას ან ვალდებულებების აღებას, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაშიც კი თუ ასეთი კანონპროექტი მოიძებნა, პარლამენტს არ რჩება უფლებამოსილება, საბოლოო სიტყვა თქვას ამის თაობაზე.

„2004 წლის კონსტიტუციური რეფორმა შეუსაბამო იყო როგორც ფორმით, ისე შინაარსით“⁸.

2. 2008-2010 წლების წლის საკონსტიტუციო ცვლილებები

2008 წელს განხორციელდა ორი ცვლილება⁹;

1. შემცირდა პარლამენტის ასარჩევ წევრთა რაოდენობა – 75-75 პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით;
2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში დაკანონდა პრეზიდენტის წარმომადგენლის-გუბერნატორის ინსტიტუტი.

ორივე ცვლილება ემსახურებოდა ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებს, ვინაიდან არსებული საარჩევნო მაჟორიტარული სისტემით მმართველ პარტიას რჩებოდა მეტი რესურსი, გაეყვანა მისთვის სასურველი მაჟორიტარობის კანდიდატი და რწმუნებულის დანიშვნით ის აკონტროლებდა ისედაც შეზღუდული უფლებების მქონე ადგილობრივ თვითმმართველობას.

2009-2010 წლების საკონსტიტუციო ცვლილებების ნამდვილი მიზანი იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრის

8 ბაბუკი ვ., ფიშის ს., რაიჰენბეჰერი ც. 2013. კონსტიტუციის გადასინჯვა-საქართველოს გზა ევროპისკენ“ თბილისი,“ გვ.92.
9 2008 წლის 11 მარტის კონსტიტუციური კანონი №5853-1 ს.

სახით დარჩენის სამართლებრივი ხელშეწყობა. მაშინ, როცა 2004 წლის რეფორმა „ძლიერი პრეზიდენტის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბებას დაეყრდნო, ამ შემთხვევაში ეს ცვლილება პრემიერის და, შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების გაძლიერებას ემსახურებოდა. პრემიერ-მინისტრი გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური¹⁰ და მთავრობის დაკომპლექტებაში პრეზიდენტის როლი მინიმუმამდე შემცირდა. მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარედი უკმაყოფილების განმუხტვის მიზნით მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ შეიმუშავა მთელი რიგი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც შეზღუდავდა პრეზიდენტის უფლებამოსილებას და პირველად ქვეყნის ისტორიაში მთავრობას აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციები ეკისრებოდა და ის განახორციელებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას¹¹. რაც შეეხება პარლამენტს, ის გათავისუფლდა პრეზიდენტის ზეგავლენისგან საკანონმდებლო საქმიანობაში, გახდა მთავარი შემოქმედი მთავრობის ფორმირების პროცესში და მისი მაკონტროლებელი¹². ზემოთ ხსენებულმა ცვლილებებმა მოგვცა შემდეგი ინსტიტუციონალური ჩარჩო: “პარლამენტი-პრეზიდენტი-მთავრობა” და მათი ფუნქციები და სტატუსი განისაზღვრა შემდეგში:

1. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს

მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“.

2. პარლამენტი არის ერთადერთი დამოუკიდებელი უმაღლესი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და წარმართავს საკანონმდებლო საქმიანობას პრეზიდენტის ჩარევის გარეშე.

აგრეთვე, უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ჩამოყალიბებისთვის საჭირო უმრავლესობა ვერ იქმნება¹³.

ასევე, პარლამენტმა შეიძინა უფრო ეფექტიანი სამართლებრივი ბერკეტები პრეზიდენტის და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების იმპიჩმენტის წესით გადაყენების კუთხით, მისი სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედით¹⁴.

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი¹⁵.

პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებებში შედის შემდეგი:

- როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ამტკიცებს სამხედრო ძალების სტრუქტურას და საჭიროების შემთხვევაში მათს გამოყენებას;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრთა დანიშვნა და მისი ხელმძღვანელობა;
- საომარი და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება – გაუქმების უფლება;
- თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოების შეჩერების ან მათი დათხოვნის უფლება;

10 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 79, პუნქტი 1, 3.

11 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78, პუნქტი 1.

12 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48.

13 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 81, პუნქტი 6.

14 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 63, პუნქტი 1, მუხლი 64, პუნქტი 1.

15 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 69, პუნქტი 1.

- არჩევნების დანიშვნა;
 - მსჯავრდებულთა შეწყობა;
 - სახელმწიფო ჯილდოების გაცემა;
 - სპეციალური წოდებების მინიჭება;
 - აგრეთვე, პრეზიდენტის სხვა უფლებამოსილებანი, რომლებიც გამომდინარეობს მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მთავრობის და პარლამენტის საქმიანობა კონსტიტუციის შესაბამისად, განამტკიცებს მის როლს და, როგორც ქვეყნის პირველი პირს, მას ძალუძს რეალური გავლენა მოახდინოს მოვლენების განვითარებაზე. ასე მაგალითად:
 - პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წამოყენება-დანიშვნის უფლება;
 - მთავრობის ფორმირების პროცესში მონაწილეობა;
 - ვეტოს უფლება;
 - მთავრობის სხდომაზე ცალკეულ საკითხთა განხილვის და სხდომაზე დასწრების უფლება;
 - სხვადასხვა თანამდებობის პირთა დანიშვნის ან ასარჩევად წარდგენის უფლება;
3. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე¹⁶.

პირველად საქართველოს კონსტიტუციაში განისაზღვრა მთავრობის, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, კონსტიტუციური სტატუსი და მთავრობის მეთაური გახდა პრემიერ-მინისტრი, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს¹⁷.

ზემოთ ხსენებულმა რეფორმამ მოახდინა თვითნებური, უკონტროლო „პრეზიდენტის“ ინსტიტუტის ჩანაცვლება და გზა გაუხსნა საპარლამენტო მოდელის დამკვიდრებას საქართველოში.

დასკვნა

საქართველოს მოქმედმა კონსტიტუციამ 20-წლიანი არსებობის მანძილზე არაერთი ცვლილება და მათ შორის ორი მასშტაბური რეფორმის პროცესი გამოიარა. ხშირმა ცვლილებებმა უარყოფითად იმოქმედა მისი, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონის, ლეგიტიმურობაზე და, სამწუხაროდ, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო ის მთავარი გამოწვევა, რომელსაც ჰქვია დაბალანსებული ხელისუფლების ჩამოყალიბება-დამკვიდრება საქართველოში.

16 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78, პუნქტი 1.

17 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 79, პუნქტი 1, 2.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი.
2. საქართველოს პირველი კონსტიტუცია, მიღებული 1921 წელს.
3. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წელს.

LEGAL ASPECTS OF CONSTITUTIONAL AMENDMENTS

Naira Avaliani

*Phd Student, Technical University of Georgia
Faculty of Law and International Studies
Foreign Relations Committee,
Parliament of Georgia*

KEY WORDS: Reforms, Super-Presidential System,
Conflict issues

RESUME

The Constitution as the basic law, reflects the nation's political, social, economic priorities and directions, determines the management of the democratic model of State, the rule of law, the protection of human rights and freedom and the principles of peaceful relations with other nations. 20 years after its adoption, it is important to assess the political-social circumstances, which was based on the changes that took place in 2004-2010 years. The far-reaching reform of the Government of Mikheil Saakashvili, established the "super-presidential" system, customized to "one person's" ambitions and power. The President was the head of the executive power and the source of it. As a result we had a weak, dysfunctional Parliament, the judiciary and local self-government with limited rights. As for the legal part of the reform, it was done in a secret way, in violation of Article 102.2 of the Constitution. The constitutional changes of 2009-2010 was motivated by M. Saakashvili to move to Prime-ministers' Cabinet and make the necessary steps within the law in order to remain in power. Also, it was directed to formally involve the opposition which was protesting in the streets, in political process, so to defuse discontent of international community. As a result, for first time in Country's history, the Government had become

the highest authority of the executive branch, the President's powers and functions had been reduced and the Parliament dismissed President's influence over the legislative field.

Though, today, Georgia needs a Constitution, that will offer ways of resolving conflict issues.

BIBLIOGRAPHY:

Legislative acts:

1. Independence act adopted on May 26, 1918.
2. The first Constitution adopted in 1921.
3. The Constitution adopted in 1995.

NOTES:

1. Independence declaration adopted in 1921, Tbilisi. 1920.pg.4-6 (In Georgian)
2. First Constitution of Georgia adopted in 1921 (In Georgian)
3. Qantaria b., 2011. The western form of government systems and their impact on the Constitution., Tbilisi, p 4. (In Georgian)
4. Constitutional law of 2004, February 6. (In Georgian)
5. [www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=SDL-AD\(2010\)021-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=SDL-AD(2010)021-e) (In English)
6. Constitutional systems, constitutional process in Georgia (1995-2009t) and its development prospects, Tbilisi 2009., pg.9-10. (In Georgian)
7. Shaio a., 2003. the self-restraint of Government, introduction to constitutionalism. Tbilisi, "Cezanne" publication, p.9. (In Georgian)
8. Babek F., Fish C., Raihenbeheri C., 2013. " the amendment of Constitution - Georgia's way to Europe", Tbilisi, p. 92. (In Georgian)
9. Constitutional law, March 11, 2008. (In Georgian)
10. The Constitution, Article 79, paragraph 1.3. (In Georgian)
11. The Constitution, Article 78, paragraph 1. (In Georgian)
12. The Constitution, Article 48. (In Georgian)
13. The Constitution, Article 81, paragraph 6. (In Georgian)
14. The Constitution, Article 63, paragraph 1, Article 64, paragraph 1. (In Georgian)
15. The Constitution, Article 69, paragraph 1. (In Georgian)
16. The Constitution, Article 78, paragraph 1. (In Georgian)
17. The Constitution, Article 79, paragraph 1,2. (In Georgian)

რბილი სამართალი, როგორც კორპორაციული მართვის მონესრიგების თანამედროვე ევროპული მეთოდი

დავით დოლიძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.
კორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
მონვეული სპეციალისტი.

საკვანძო სიტყვები: კოდექსი, დამორჩილება, განმარტება

რბილი სამართალი, მისი წარმოშობა და განვითარება

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ რბილი სამართლის როლი თანამედროვე საკორპორაციო სამართალში ძალზე დიდია და ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კორპორაციულ მართვასთან მიმართებით იძენს.¹ დღეისათვის კორპორაციულ მართვაში რბილი სამართლის ცნების ქვეშ ძირითადად კორპორაციული მართვის კოდექსები იგულისხმება. ისინი ემყარება კორპორაციული მართვის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს და, შესაბამისად, რბილი სამართლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.²

ამდენად, რბილი სამართალი არის კორპორაციული მართვის იმ პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც მონო-

1 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. გამომცემლობა სამართალი, თბილისი გვ. 181. ასევე იხ. მახარობლიშვილი გ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბილისი, გვ. 193.

2 მახარობლიშვილი გ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბილისი, გვ. 193.

დავით დოლიძე

ამავე წელს საფრანგეთი გვევლინება კონტინენტური ევროპის პირველ სახელმწიფოდ, რომელიც ქმნის მსგავსი ტიპის კოდექსს.*

კორპორაციული მართვის სტანდარტების გლობალიზაციის მესამე ფაზა 1997-2000 წლებში მიმდინარეობს. ამ ეტაპზე კონტინენტური ევროპის კიდევ უფრო მეტი სახელმწიფო ნერგავს კორპორაციული მართვის კოდექსებს. ამ მხრივ აღსანიშნავია პირველი ჰოლანდიური,* ბელგიური,* გერმანული* და სხვა სახელმწიფოთა კოდექსები.

მეოთხე ფაზის ფარგლებში „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (OECD), „შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID), „რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის“ (EBRD) და „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის“ (IFC, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილია) ზეგავლენის საფუძველზე აქტიურად დაიწყო კორპორაციული მართვის სტანდარტების შემუშავება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში.¹¹ კერძოდ, 2002 წელს

კორპორაციული მართვის კოდექსები მიიღეს პოლონეთსა და რუსეთში. მოგვიანებით კი კორპორაციული მართვის კოდექსი საქართველომაც მიიღო.*

ამდენად, კორპორაციული მართვის კოდექსების შექმნა 1992 წლიდან დაიწყო და ეს პროცესი კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს.*

კორპორაციული მართვის კოდექსების ფუნქცია და სამართლებრივი მნიშვნელობა

გერმანია

გერმანიის კორპორაციული მართვის პირველი კოდექსი (DCGK), 2002 წელს შეიქმნა. აღნიშნული დოკუმენტი შეიმუშავა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში 2001 წელს შექმნილმა „გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის სამთავრობო კომისიამ.“*

კოდექსის დღეისათვის მოქმედი რედაქცია შეიცავს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება გერმანული (ფრანქფურტის) საფონდო ბირჟის ლისტინგში რეგისტრირებულ ყველა სააქციო საზოგადოებას.¹² კოდექსის შინაარსთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ის შეიცავს რეკომენდაციებს (Emp-

* საფრანგეთში 1995 წელს საფრანგეთის დამსაქმებელთა ასოციაციის (CNPF – Conseil National du Patronat Français) და კერძო ბიზნეს ასოციაციების (AFEP – Association Française des Entreprises Privées) მიერ იქმნება პარიზის საფონდო ბირჟაზე განთავსებულ კომპანიათა დირექტორთა საბჭოს ქცევის წესები, რომელიც „Vienot I Report“ სახელწოდებითაა ცნობილი. იხ. http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=42

* ჰოლანდიაში კორპორაციული მართვის კოდექსის პირველ გამოვლინებას „Peters Report & Recommendations, Corporate governance in the Netherlands“ წარმოადგენს და ის 1997 წლით თარიღდება. იხ. http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=85

* ბელგიაში კორპორაციული მართვის კოდექსის ერთ-ერთი პირველი გამოვლინებაა „Corporate Governance for Belgian listed companies 1998“ (The Cardon Report). იხ. http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=14

* გერმანიაში 2000 წელს იქნა მიღებული „კორპორაციული მართვის წესები გერმანულ კვოტირებულ კომპანიათათვის“. აღნიშნული წესები მოქმედებდა მხოლოდ ფრანქფურტის საფონდო ბირჟაზე განწესებულ ორგანიზაციათა მიმართ. მოგვიანებით კი მიღებულ იქნა „გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი“ (DCGK). იხ. http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=46

11 Maassen G.F., Van den Bosch F.A.J., Volberda H., 2004. The importance of disclosure in corporate governance self-regulation across Europe: A review of the Winter Report and the EU action Plan. International Journal of Disclosure and Governance, Volume 1, No. 2, P. 148.

* 2009 წელს საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის“ (IFC) მხარდაჭერით მიღებულ იქნა „კორპორაციული მართვის კოდექსი“ კომერციული ბანკებისათვის.

* სახელმწიფოები აქტიურად მუშაობენ კორპორაციული მართვის კოდექსების დახვეწის კუთხით. სწორედ ამიტომაც, რომ მაგ. გერმანია, გაერთიანებული სამეფო და ა.შ. გარკვეული პერიოდულობით მუდმივად გამოსცემენ კორპორაციული მართვის კოდექსების განახლებულ რედაქციებს. იხ. http://www.ecgi.org/codes/all_codes.php

* აღნიშნული კომისია მოქმედია, რამეთუ ის გარკვეული პერიოდულობით მუდმივად გვთავაზობს კოდექსის განახლებულ რედაქციებს. კომისიის შესახებ დეტალურად იხ. <http://www.dcgk.de/en/commission.html>

12 German Corporate Governance Code (amended and changes), Berlin, 2015. p.1. <http://www.dcgk.de/en/code.html>

fehlungen), რომლებიც მიისწრაფიან, დანერგონ კორპორაციული მართვის პრაქტიკის საუკეთესო სტანდარტები სააქციო საზოგადოების საორგანიზაციო საკითხებთან, ასევე გამგეობისა (Vorstand) და სამეთვალყურეო საბჭოს (Aufsichtsrat) საქმიანობასთან დაკავშირებით; წინადადებებს (Anregungen), რომელთაც სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია, ეფუძნებიან რა „დაემორჩილე ან განმარტეს“ პრინციპს.¹³

იურიდიულ ლიტერატურაში გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის ორ ძირითად დანიშნულებას აღნიშნავენ. კერძოდ, პირველი არის კოდექსის მცდელობა, უცხოელ ინვესტორებს გააცნოს გერმანულ საკორპორაციო სამართალში მოქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული დებულებები, ხოლო მეორე საკანონმდებლო დონეზე დადგენილი ნორმატიული ჩარჩოს თვითრეგულირებადი წესებით შევსებაში გამოიხატება.¹⁴ აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ საინტერესოა გერმანული საკორპორაციო სამართლისათვის დამახასიათებელი იმ თავისებურებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც აქ ერთგვარად სახეზეა საკანონმდებლო ბმა გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსსა და „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გერმანიის კანონს (Aktiengesetz 1965) შორის.¹⁵ კერძოდ, „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, მართალია, გერმანული კორპორაციული მართვის კოდექსში მოცემული რეკომენდაციები და წინადადებები სავალდებულო ძალის მქონე არ არის, თუმცა მათი უარყოფა

სააქციო საზოგადოებათა მხრიდან განმარტებული და გამხელილი უნდა იყოს ე.წ. „ყოველწლიური შესაბამისობის ანგარიშებში (დეკლარაციებში).“¹⁶ სწორედ ამიტომაც, რომ უმსხვილესი გერმანული კორპორაციები ყოველწლიურად აქვეყნებენ გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშებს.¹⁷

ამდენად, გერმანიაში „დაემორჩილე ან განმარტე“ პრინციპი კორპორაციათა ვალდებულებად მიიჩნევა, კორპორაციული მართვის კოდექსი კი სააქციო კანონის საფუძველზე მოქმედებს.

სტატისტიკურად კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის სტანდარტი გერმანიაში საკმაოდ მაღალია. ამას მოწმობს „ბერლინის კორპორაციული მართვის ცენტრის“ (BCCG) მიერ შემუშავებული „გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციებისა და წინადადებების გერმანულ სააქციო საზოგადოებათა მიერ გაზიარების შესახებ ანგარიშები“ (Kodex Report).

აღნიშნული ანგარიშების მიხედვით 2009 წელს ფრანკფურტის საფონდო ბირჟაზე გერმანული საფონდო ინდექსის (DAX) ქვეშ მოქმედმა კორპორაციებმა* გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციების 94.9% და წინადადებების 86.1% გაიზიარეს.¹⁸ 2010 წელს კომპანიათა მიერ კოდექსის რეკო-

13 Merket H., 2013. Germany Internal and external corporate governance. Comparative Corporate Governance A Functional and International Analysis. Publisher Cambridge University Press, Cambridge P. 523.
